# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 23 იანვარი 1996 № 6 (231) ფასი 40 თეთრი

## „დინამო" რეზინისა არაა

ანთალიის შეკრებიდან დაბრუნებულმა თბილისის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა ჩამოსვლის მეორე დღესვე, 22 იანვარს დილმის ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა.

— ანთალიაში 21 ფეხბურთელი წავიყვანეთ, იაშვილი ავადმყოფობის გამო მოგვიანებით შემოგვიერთდა. პირობები, რაც შეეხება სასტუმროსა და კვებას, მშვენიერი იყო, თუმცა მინდვრები ძალზე დაბალი ხარისხის იყო. ხუთი დღე თუ ვივარჯიშეთ არაუშავს მინდორზე, რამდენიმე კი ხელოვნურსაფარიანზე ჩავატარეთ. საერთოდ, ყოველდღიურად ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა, მაგრამ იყო დღეები, როდესაც სამჯერაც კი ვივარჯიშეთ. მთავარია, რომ ფეხბურთელებმა ასე საჭირო სათამაშო პრაქტიკა მიიღეს.

13 იანვარს თურქეთის II ლიგის გუნდს მოვუგეთ — 1:0 (ანჩაბაძე). ორი დღის მერე ელისტის „ურალანთან" ფრედ — 0:0 ვითამაშეთ. სხვათა შორის, ელისტელებს 27 ფეხბურთელი ჰყავდათ გასასინჯად ჩაყვანილი და მათ მეორე შემადგენლობასაც შევხვდით ბოლო მატჩში 20 იანვარს და ეს გუნდი უფრო მომეწონა, თუმცა კი 1:0 (დემეტრაძე) დავამარცხეთ. 18 იანვარს რუსეთის I ლიგის ლენინსკ-კუზნეცკის „ბარინს" 6:2 (კერკვაძე — 3, ყიზილაშვილი — 2, მაჭავარიანი) კივსძლიეთ, მაგრამ თავიდან მატჩი ჩვენთვის რთულად წარიმართა და ერთი ხანობა ანგარიში საყაიმოც კი იყო — 2:2.

— რამდენიმე ძლიერ გუნდთან შეხვედრაზე წინასწარი მოლაპარაკება კი გვქონდა, მაგრამ „ლიეჟის" წარმომადგენლებს ანთალიური პირობები არ მოეწონათ და იქიდან სამ დღეში გაფრინდნენ. თურქებმა კი, არ ვიცი, ჩვენთან თამაშს თავი რატომ აარიდეს. „ისტანბულსფორის" ხელმძღვანელობას არასწორი ინფორმაცია ჰქონდაა — თითქოს ჩვენ საქართველოში სტამბულის გავლით ვბრუნდებოდით. ეს შეხვედრა კი ძალიან წაგვადგებოდა, მაგრამ დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული და მატჩიც არ შედგა.

— დასახული პროგრამა მთლიანად შევასრულეთ, თუმცა უკეთესი მინდვრები რომ ყოფილიყო, მომზადების შედეგებიც უკეთესი იქნებოდა. როდესაც ყიზილაშვილის საქმეზე კვიპროსში ვიმყოფებოდი, ვფიქრობდი, ხომ არ აჯობებდა შეკრების იქ გამართვა, მაგრამ მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯები მეტი გვიჯდებოდა, ანთალია კი ახლოსაც არის და თან უფრო იაფიცაა. მთავარია, რომ ფეხბურთელები დროებით მაინც მოსწყდნენ თბილისს.

— არავის მიმართ პრეტენზია არ გამაჩნია, ყველა მონდომებით ვარჯიშობდა. სათამაშო დისციპლინაც ნორმალურ დონეზე იყო. ის კი არა, ბოლო შეხვედრა ელისტელებს პრესინგით ვეთამაშეთ და ვაჯობეთ. ბიჭებმა 80 პროცენტით შეასრულეს დავალება: რუსებთან როგორი „ადვილია" პრესინგით თამაში, მოგეხსენებათ. საგულისხმოა, რომ ელისტელებმა ასეთი ტაქტიკით სხვები „მოახრჩვეს".

— მართალია, ყიზილაშვილს დიდი დრო გაუცდა, მგრამ თამაშს რომ მოუმატა, ფაქტია. გუნდს მისი ყოფნა აშკარად დაეტყო. თანაც, უკვე დიდი კაცია, სერიოზული და იცის, როგორ უნდა მოემზადოს.

— ჩვენ დაინტერესებულნი ვართ გიზო ჯელაძის გადმოყვანით. იგი ლტოლვილი ბიჭია, შეიძლება ჯარშიც გაიწვიონ, თუმცა, ვერ გეტყვით, ითამაშებს თუ არა ჯელაძე მეორე წრეს „დინამოში".

— აშვეთიასთან ჯერ არანაირი კონტრაქტი არ დაგვიდია და იგი არ არის ჩვენი საკუთრება. თუმცა კი მისი გადმოყვანა გვსურს, რაც, ალბათ, სეზონის შემდეგ მოხდება.

— ვიცი, რომ ჯამარაული მიდის, მაგრამ არ ვიცი სად.

— მოსკოვში 18-19 კაცს წავიყვანთ. საერთოდ, მანეჟში თამაში რთულია. ენამ არ მიყივლოს და მეშინია, ფეხბურთე[illegible] ტრავმა არ მიიღონ.



— ჩვენ არავის ვუკრძალავთ ბაზაზე ვარჯიშს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთები „დინამოში" ირიცხებიან. მართალია, ზოგიერთის დამატება გვსურს, მაგრამ ყველასთან შეიძლება, პირობებზე ვერც შევთანხმდეთ, ან საჩვენოდ არ მივიჩნიოთ. ბოლოს და ბოლოს „დინამო" რეზინის არ არის, ყველა რომ ჩვენთან დაეტიოს.

— ანთალიის შეკრებას ერთი ნაკლი ჰქონდა — ის, რომ ძლიერ გუნდებს ვერ შევხვდით. საერთოდ, ასეთი თამაშების ნაკლებობას განვიცდით, გამოცდილებას კი ფეხბურთელი სწორედ ძლიერ გუნდებთან შეხვედრებში იღებს.

ხუთშაბათს საქართველოს ჩემპიონი მოსკოვს მიემგზავრება ესენგეს ჩემპიონთა თასზე სათამაშოდ. კალენდარი ასეთია:

**26 იანვარი**

I ჯგუფი:

ზიმბრუ (მოლდოვა) — ნეფთჩი (უზბეკეთი)

სკონტო (ლიტვა) — რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები

II ჯგუფი:

სპარტაკ-ალანია (რუსეთი) — კანტ-ოილი (ყირგიზეთი)

პიუნიკი (სომხეთი) — ელიმაი (ყაზახეთი)

III ჯგუფი:

დინამო (კიევი, უკრაინა) — ფლორა (ესტონეთი)

კოპეტდაღი (თურქმენეთი) — დინამო (მინსკი, ბელარუსი)

IV ჯგუფი:

დინამო (თბილისი, საქართველო) — პამირი (ტაჯიკეთი)

ჟალგირისი (ლიტვა) — ქიაფაზი (აზერბაიჯანი)

**27 იანვარი**

სკონტო — ზიმბრუ
რუსეთი — ნეფთჩი
სპარტაკ-ალანია — პიუნიკი
კანტ-ოილი — ელიმაი
დინამო (კიევი) — კოპეტდაღი
ფლორა — დინამო (მინსკი)
დინამო (თბილისი) — ჟალგირისი
პამირი — ქიაფაზი

**29 იანვარი**

ზიმბრუ — რუსეთი
ნეფთჩი — სკონტო
პიუნიკი — კანტ-ოილი
ელიმაი — სპარტაკ-ალანია
დინამო (მნ) — დინამო (კ)
კოპეტდაღი — ფლორა
ქიაფაზი — დინამო (თბ)
ჟალგირისი — პამირი

30 იანვარს მეოთხედფინალები გაიმართება, 1 თებერვალს — ნახევარფინალები,

## შელია ერთ თვეში დაიწყებს



გერმანიას მყოფმა „სპარტაკ-ალანიამ" 1:0 მოუგო ადგილობრივ „ლიპლინგს". ამ მატჩში რევიშვილმაც ითამაშა და ყაველაშვილმაც. მეორე თამაშში კი ოსებმა „ბარზენპაუზენს" 10:0 მოუგეს და რასაკვირველია, გოლი ყაველაშვილმაც გაიტანა, თან ორი. გუნდთან ერთად მყოფი მურთაზ შელიას გამოკვლევამ კი ცხადყო, რომ მურთაზს ვარჯიშის დაწყება 17 თებერვალს შეეძლება.

## ახალი და ძველი...

მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრებს იტალიის მეტოქეობა ერგუნა, ამ გუნდის ნახვის საშუალება ხვალ პირველად მოგვეცემა — რომთან მდებარე პატარა ქალაქ ტერნიში იტალიის ნაკრები ჩვენს ძველ მეტოქე უელსის ნაკრებს ამხანაგურად ეთამაშება. არიგო საკიმ გუნდი გუშინ შეკრიბა და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება აქედან დაიწყო. სახვალიო მატჩისთვის მწვრთნელმა შემდეგი ფეხბურთელები იხმო:

მეკარეები: პერუცი (იუვენტუსი), ტოლდო (ფიორენტინა)

მცველები: აპოლონი, კანავარო, მუსი (პარმა), ფერარა, ტორიჩელი (იუვენტუსი), კარბონი (რომა), კოსტაკურტა (მილანი)

ნახევარმცველები: დელ პიერო, კონტე, დი ლივიო (იუვენტუსი), კრიპა (პარმა), ალბერტინი (მილანი)

თავდამსხმელები: რავანელი (იუვენტუსი), კაზირაგი (ლაციო), ძოლა (პარმა)

„აიეტი TV"-ისა და სხვა საკაბელო არხების მფლობელებს გაცნობებთ, რომ ამ მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს გადასცემს RAIUNO თბილისის დროით ღამის თორმეტის ნახევრიდან.



## ცომაია „ლადაში" მიიღეს, ჯანაშიას გოლები გააქვს



„სამტრედიის" ყოფილმა ფეხბურთელმა დავით ცომაიამ ხელი მოაწერა ტოლიატის „ლადასთან" კონტრაქტს და 25 იანვრიდან 9 თებერვლამდე გუნდთან ერთად სოჭში გაემგზავრება შეკრებაზე. „ლადაში" კიდევ ერთი ქართველი ნახევარმცველი, ვასილ სეფაშვილი თამაშობს. რუსეთის ჩემპიონატის პირველ ტურში 2 მარტს „ლადა" მოსკოვში ითამაშებს „ლოკომოტივთან", ასე რომ ლადელი ქართველები კიდევ ერთი სამტრედიელს ზაზა ჯანაშიას შეჩერებას შეეცდებიან. თავად ჯანაშიამ კი გერმანიის „ფორსჰაიმს" 21-ე წუთზე ფანტასტიური გოლი გაუტანა, „ლოკომოტივმა" კი 3:1 მოიგო. თუმცა ჯანაშია მხოლოდ ობერლიგელებს როდი ერჩის — მანამდე მოსკოვის გუნდმა ბუნდესლიგის „მიუნხენ 1860"-თან 2:3 რომ წააგო, ერთი გოლი სწორედ ზაზამ გაიტანა.

## ჩელებაძე — «ბათუმის» პრეზიდენტი

რევაზ ჩელებაძე კვლავ დაუბრუნდა ბათუმის „დინამოს" პრეზიდენტის სავარძელს. სწორედ მან, როგორც ჭეშმარიტ თავკაცს შეშვენის, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის თოგაა ბაიათლის ვიზიტისას სტუმარს მისთვის ყველა საინტერესო კითხვაზე უპასუხა.

## «სამტრედია» ახლებს იმატებს

პირველი წრის ბოლოს რამდენიმე წამყვანი მოთამაშის წასვლის შემდეგ „სამტრედიის“ ხელმძღვანელობა მათ შემცვლელებს ეძებს და ახლების დამატებაც განუზრახავს. სურთ მიიწვიონ ვახტანგ ხვადაგიანი, ლადო ჭოლოკავა და თემურ გადელია. II ჯგუფის დასავლეთი ზონის ლიდერ და სამტრედიელთა ფარმ-კლუბ „ანჯელიდან“ კი ოთხი მოთამაშე უკვე დაიმატეს.

ამჟამად გუნდის პრეზიდენტი ტარიელ ჩაჩუა სოჭში იმყოფება დათო ჯანაშიასა და ზურაბ იონანიძის „ჟემჩუჟინაში“ გადასვლასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად.

„სამტრედიელებს“ მეორე წრისთვის მზადება ჯერ არ დაუწყიათ. ეს ამბავი, ბუნებრივია, უშუალოდ უკავშირდება გუნდის ფინანსურ მდგომარეობას. თუ იგი მოგვარდა, „სამტრედია““ ანთალიაში ან კვიპროსში მოემზადება.

ჩვენი მხრივ დავძენთ: სასურველია, ბოლო ხანს აღმავლობის გზაზე მდგარი „სამტრედია“ დღევანდელ დონეს მაინც თუ შეინარჩუნებს. არ ახალია, რომ „დინამო“ — „სამტრედიას“ პაექრობა ჩვენი ჩემპიონატის ერთი უმთავრესი ინტრიგა გახდა და მაყურებლის ინტერესსაც უჩვეულოდ აცხოველებს.

გიორგი ხუციშვილი

## ზოგჯერ საქართველოშიც ბრუნდებიან



„შევარდენის“ ყოფილი მცველი ვახტანგ ხვადაგიანი 1994 წლის ბოლოს გაემგზავრა უკრაინაში, იქაური უმაღლესი ლიგის როვნოს „ვერესში“ ჩაირიცხა და მეორე წრე მთლიანადაც ითამაშა. აქედან წასვლის მიზეზი ელემენტარული ყოფილა, „უკრაინის ჩემპიონატი ჩვენსაზე მაღალი დონისაა და, ბუნებრივია, თამაშიც იქ მერჩივნა. მიწვევით, უკრაინელი მწვრთნელია — ივან კრასნეცკი და იმან მიმიწვია. როვნოს გუნდს უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი — კოლოტოვი ავარჯიშებდა. ჩემი თამაშის პერიოდში კლუბის პრეზიდენტის საქმეები უკანუკან წავიდა და მოთამაშეებს შეპირებული თანხა ვერ მისცა, თუმცა კოლოდოვს დანაპირებ დიდ გასამრჯელოს არ აკლებდა. კოლოტოვს მარტო საკუთარ თავზე არ უფიქრია, მოითხოვა, ფეხბურთელებსაც მიეღოთ კუთვნილი. საბოლოოდ, ის და პრეზიდენტი ვერ შეთანხმდნენ, რის გამოც კოლოტოვმა „ვერესი“ დატოვა. რამდენიმე მოთამაშეც ასევე მოვიქეცით.

**— საქართველოდან ფეხბურელები ლამისაა გარბიან და ამიტომაც უცნაურად ჩანს საპირისპირო მოძრაობა — უკან, საქართველოსკენ...**

— ოჯახური პირობების გამო გადავდგი ეს ნაბიჯი — გარკვეული პრობლემები მქონდა მოსაგვარებელი. წასვლას კი ყოველთვის მოვასწრებ.

**— როგორც ვიცი, შენ მოსკოვის „ტორპედოში““ იყავი გასინჯვაზე...**

— ორი თვე ვვარჯიშობდი. მაგრამ „ტორპედოს“ მწვრთნელი ვალენტინ ივანოვი ქართველების მიმართ ცუდადაა განწყობილი. ეს ძველი შევარდნელის ლადო ჭილოკავასგანაც ვიცოდი, რომელიც ივანოვს ჯერ კიდევ „ასმარალიდან“ იცნობს და მაფრთხილებდა კიდეც „ტორპედოში“ მისულს გოჩა ქოქოშვილმაც იგივე მითხრა. უცნაური კაციცაა ივანოვი — სათქმელს თვითონ კი არ გეტყვის, მესამე მწვრთნელის პირით ამბობს.. დეკემბერში ისევ უნდა წავსულიყავი მოსკოვში, მაგრამ გადავიფიქრე. თან ეს ოჯახური პრობლემები, თანაც გული აღარ მიმიწევდა იქიკენ.

**— გავიგე, „სამტრედია“ და „მარგვეთი“ გიწვევენ...**

— ჯერ ვფიქრობ, სად წავიდე. ადრე ბათუმის ვარიანტიც იყო — გეცოდინება, იქ კოსტავას წაყვანა სურდათ, მას კი ჩემი, მაგრამ ბოლოს კოსტავამ უარი თქვა და ეს ვარიანტი გამოირიცხა. სხვათა შორის, „სამტრედიაში“ ლადო ჭოლოკავას და თემურ გადელიას გადაყვანაც სურთ. თუ პირობებს შეგვისრულებენ, ალბათ სამივე იქ წავალთ.

მერაბ მამულაშვილი

## ბონაზე ვერ შეთანხმდნენ



საქართველოს ნაკრებისა და „სამტრედიის“ მცველ ბესიკ ბერაძეზე ახლახანაც გაუწყეთ. საბოლოოდ „სამტრედიისა“ და ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელები ვერ შეთანხმებულან მისი ტრანსფერის თაობაზე და ბონაც საქართველოში დაბრუნდა.

## მჭედლიშვილი «შევარდნიდან» წავიდა

„შევარდენის“ ყოფილ კაპიტანს გიორგი მჭედლიშვილს გუნდის მწვრთნელთან უთანხმოების გამო გადაუდგამს ეს ნაბიჯი. „შევარდენი“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა ელგუჯა ხუციშვილმაც დასტოვა.



## გუჩუა მენისკმა კიევში გაუშვა

გუჩუას ამბავი ცნობილია — მოსკოვის „ლოკომოტივში“ გასასინჯად კი გაემგზავრა, მაგრამ სიომინმა უცხოელთა სიჭარბის გამო ვერ ჩარიცხა გუნდში. ამის შემდეგ გუჩუა მოსკოვის „ტორპედოში“ ვარჯიშობდა, მაგრამ არც იქ გამართლებია, თუმცა სულ სხვა მიზეზის გამო — ფეხი დაზიანებია და მენისკი ასტკივებია. ამჟამად გუჩუა კიევშია სამკურნალოდ, ამის მერე, როგორც შევიტყვეთ, საქართველოში დაბრუნდება და ისევ „სამტრედიაში“ ითამაშებს.

# დაიხსომეთ და მერე გამიხსენეთ



ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ მახარაძე

**თბილისის „დინამოს“ კვალდაკვალ მეორე წრისთვის სამზადისი გუნდის ფარმ-კლუბმა „დინამო-2-მაც დაიწყო, 15 იანვარს შეიკრიბა და ვარჯიშს შეუდგა. უმცროსი „დინამოელები“ ჯერ დიდუბის სპორტულ მანეჟში „ხურდებიან“. არდადეგებიდან დაბრუნებულ ბიჭებს ვარშიჯის დაწყება თითქოს უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ ნურას უკაცრავად — მწვრთნელთა დავალებებს საკმაოდ ხალისიანად და ენერგიულად ასრულებდნენ. „დინამოს 2“-ის წვრთნას თემურ მახარაძე ხელმძღვანელობს და ვარჯიშის დასრულების შემდეგ სწორედ მას ვესაუბრეთ...**

— მართალია, სულ რაღაც ერთი კვირაა, ვარჯიში განვაახლეთ, მაგრამ ბიჭებს წვრთნის დაწყება არ გასჭირვებიათ. საწვრთნელი პროცესის პირველი ეტაპი ძირითადად მათ მოლონიერებას მოხმარდება, ზოგჯერ ბურთიანადაც ვავარჯიშებთ, წვრთნა ერთფეროვანი და მოსაწყენი რომ არ იყოს. ჩემპიონატის პირველი წრე II ჯგუფის აღმოსავლეთ ზონაში შეთამაშებას დაჭირდა, ახლა კი ვეცდებით, უკვე შეთამაშებული გუნდი საფუძვლიანად მოვამზადოთ, რათა არც „დინამოს“ სახელი შევარცხვინოთ და არც ჩვენ შევრცხვეთ.

**— თქვენი გუნდის პრველ წრეში თამაში შეაფასეთ.. კანონზომიერი იყო დაკავებული მესამე ადგილი?**

— მესამე ადგილს სავსებით კანონზომერად მივიჩნევ. ვინმე იქნებ შემოგვედაოს, რატომ მესამე, უკეთესი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდაო, მაგრამ, გავითვალისწინოთ გარკვეული მიზეზები: „დინამო-2“ ფაქტიურად სეზონის დასაწყისში ჩამოყალიბდა, ასე რომ, შეთამაშებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. გუნდი წრის ბოლოსღა შეთამაშდა და აკი არც შედეგმა დააყოვნა — „უნივერსიტეტი“ 6:1 დავამარცხეთ, „შსს აკადემია“ — 6:0, „მერანი 91“-ს კი 2:0 მოვუგეთ. გავიხსენებ იმასაც, რომ გუნდში სეზონის დაწყებამდე ორი დღით ადრე მივედი და შეჯიბრება ყოველგვარი მოსამზადებელი პერიოდის გარეშე დავიწყეთ. მოკლედ, ადვილი ასახსნელია, რატომ ვიმყოფებით მხოლოდ მესამე ადგილზე და რატომ მიმაჩნია ლოგიკურად ეს შედეგი.

**— გუნდში რამე ცვლილება ხომ არ არის?**

— წასვლით არავინ წასულა. ჩვენთან 30 ფეხბურთელი ვარჯიშობს და ამ მხრივ საშიშროება არც გველოდება. არმიის სპორტული კლუბიდან მოვიწვიეთ ბიძინა კაპანაძე, გავსინჯავთ, თუ გაამართლა, დავტოვებთ, თუ არა...

**— სამზადისს სად და როგორ განაგრძობთ?**

— ოთხ თებერვლამდე თბილისში ვივარჯიშებთ, შემდეგ, ანთალიაში გავემგზავრებით ორკვირიან შეკრებაზე, იქიდან დაბრუნებულები დაახლოებით რვა-ცხრა საკონტროლო თამაშს გავმართავთ. სეზონი კი ოფიციალურად 19 მარტს იწყება.

**— თქვენი მოთამაშეებით კმაყოფილი თუ ხართ, საიმედო თაობა გვეზრდება?**

— თამამად ვიტყვი — ამ ბიჭების უმეტესობა დიდ ფეხბურთთს ითამაშებს. დაიხსომეთ ეს გვარები და მერე გამიხსენეთ — მუჯირი, ზამთარაძე, გემეზაშვილი, ტარყაშვილი, ასლანიძე, მესხი, არჩვაძე, ტრაპაიძე, ჭიჭვეიშვილი, სხვებიც. ამათი ძალიან კმაყოფილი ვარ, ნიჭიერებიც არიან და შრომაც არ ეზარებათ.

**— რომელ ადგილს გეგმავთ?**

— მხოლოდ პირველს. მოთამაშეებიც საამისოდ არიან განწყობილი.

**— პირველი ადგილი პირველი ჯგუფის საგზურია. ასეთ შემთხვევაში კლუბი და ფარმ-კლუბი ერთ ლიგაში ითამაშებენ. ხომ არ გაგირთულდებათ საქმე?**

— მაინცდამაინც პირველ ჯგუფში გადასვლა მიზნად არც დაგვისახავს. უბრალოდ, ჩვენს ზონაში გამარჯვებას ვეცდებით, დანარჩენს კი კლუბის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს. ჩვენი მიზანი პირველი გუნდისთვის კადრების მომზადებაა. სწორედ ამიტომ შეიქმნა „დინამო-2“. სხვა ყველაფერი მნიშვნელობით მეორეხარისხოვანია.

მამუკა კვანტალიანი

# რა ვქნა, რომ ბედი არ მწყალობს...



პირველ ეროვნულ ჩემპიონატში მაკასარაშვილი გალში თამაშობდა

გიორგი მაკასარაშვილი 1969 წელს დაბადებულ საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრების ძირითადი მეკარე იყო და ოთხჯერაც მოიგო საკავშირო ტურნირები „სიჭაბუკის თასი“, „პერეპრავა“ და სხვანი. ნიჭიერი მეკარე 1989 წელს თბილისის „დინამომაც“ მიიწვია, საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელებმაც დაადგეს თვალი, მაგრამ ისე მოხდა, რომ ეროვნული ჩემპიონატი მაკასარაშვილმა გალის „მზიურში“ დაიწყო. ვისაც იმჟამინდელი „მზიური“ ახსოვს, უთუოდ ისიც ეხსომება, რომ მამუკა ჯღარკავა, კობა ხარჩილავა და დავით ჩხეტია საკმაოდ კარგად თამაშობდნენ და ომი რომ არა, ვინ იცის...

ზოგი ქართველი ფეხბურთელის უბედობაზე ადრეც ბევრი დაგვიწერია, თუნდაც მიშა ჯიშკარიანი და გია ბაბუაძე გავიხსენოთ, მაგრამ გია მაკასარაშვილსაც გამორჩეული ადგილი ეკუთვნის ამ „უბედოთა სიაში“. ჩაიკითხავთ ინტერვიუს და თავად დარწმუნდებით.

— სადაც უნდა წავიდე, ყველა გუნდი იშლება. გალის „მზიურში“ ვთამაშობდი და ომმა ყველაფერი არივ-დარია. მერე ქუთაისში გადმოვედი, ვფიქრობ, კარგადაც ჩავამთავრე ის სეზონი, მაგრამ უსახსრობა ტორპედოსაც მისწვდა, დაშლის პირას მიიყვანა და იქ ადგილობრივი ახალგაზრდა ფეხბურთელებიღა დარჩნენ. შემდეგ, ვორონეჟში წასულმა გალის „მზიურის“ მთავარმა ბუღალტერმა როინ მიქაიამ შემატყობინა, ჩამოდი, „ფაკელს“ მეკარე სჭირდებაო. ჩავედი ვორონეჟში, ერთდროულად გუნდის პრეზიდენტსა და მწვრთნელს, ყოფილ ლენინგრადის ზენიტელ სავჩენკოს შევხვდი. ჩემი პირობები არ წამოუყენებია, გამსინჯეთ და, თუ მოგეწონეთ, დავრჩები-მეთქი. დამტოვეს, ამხანაგური თამაშებიც კარგად ჩავატარე და... ზედ სეზონის წინ კალინინგრადის „ბალტიკასთან“ შეხვედრისას ხელი მომტეხეს. მოხდა ისე, რომ შეჯახება, სხვათაშორის, წმინდა სათამაშო ვითარებაში„ აფხაზ ძმებთან რუსლან და ბესლან აჯინჯალებთან მომივიდა. ხელის მტევნის მოტეხილობას ცხვირის მოტეხილობაც დაერთოო. მატჩის შემდეგ აჯინჯალები მოვიდნენ და ბოდიში მომიხადეს — შემთხვევით მოგვივიდაო. მეც ვიცი, რომ მართლაც შემთხვევითი იყო, რაც მოხდა. მოკლედ, „ფაკელმა“ სეზონი უჩემოდ დაიწყო. მერე ხელი მომირჩა, ფორმაშიც ჩავდექი, მთელი ჩემპიონატი სტაბილურად ვითამაშე და „ფაკელმაც“ პირველი ლიგის საგზური მოიპოვა. თითქოს გაჩნდა ფინანსური მომძლავრებისა და პირობების გაუმჯობესობის საშუალება, მაგრამ პირველ ლიგაში ისე გაგვიჭირდა, ხელფასს ძლივს გვიხდიდნენ. „ფაკელს“ ათეული ჰქონდა დაგეგმილი, საბოლოოდ კი მეცამეტეზე გავიდა. კლუბის პრობლემებს ჩემიც დაემატა: ჯერ მამა გამიხდა მძიმედ ავად, რა არ ვიღონე, არაფერმა უშველა, მერე ბინა გამიტეხეს. უკუღმა წამივიდა საქმე. სეზონი ჩავამთავრეთ თუ არა, სავჩენკოს უთხარი, შინ მივდივარ-მეთქი. გამომიშვა, თუმცა, კაბალური შეთანხმებით — კლუბი, რომელიც ჩემს აყვანას მოისურვებს, „ფაკელთან“ ანგარიშვალდებული იქნება და ვორონეჟელებს გარკვეული თანხა უნდა გადაუხადოს. არადა, კონტრაქტი დამიმთავრდა. მოკლედ, „ბოსმანის საქმეა“, ეგაა, რომ რუსეთს არ ეხება, სამწუხაროდ.

ახლა ჩემით ვვარჯიშობ, თბილისის ზღვაზე დავრბივარ, არ ვიცი, რა იქნება მომავალში და სად ვითამაშებ. გოჩა ჟორჟოლიანმა შემომთავაზა ჩინეთში წამოდიო. თუ მომივიდა იქიდან წინადადება, უყოყმანოდ დავთანხმდები.

„ფაკელმა“ კი, ჩემს უიღბლობას რა ვუთხრა, სპონსორი იშოვა, თანაც ისეთი, გუნდის გაძლიერებას და ძლიერ მოთამაშეთა ყიდვას რომ ითხოვს. მეკარე უმაღლესი ლიგიდან აუყვანიათ, ეკატერინბურგის „ურალმაშის“ ვალერი გოროდოვი. ნეტავი მაცოდინა, ყველგან უიღბლო როდემდე ვიქნები?

მამუკა კვარაცხელია


ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით“ შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:
36-00-94, 36-65-00, 93-36-71

# ძალიან კარგი, იტალიით რომ ვიწყებთ!



მსოფლიო ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფის წევრებმა რამდენიმე დღეა, კალენდარი შეიდგინეს, პოდა, მწვრთნელებიც ეს დღეებია შანსებსა და იმაზე ბჭობენ, რა სჯობდა, ჯერ ვისთან შეხვედრა და ა.შ. ჩვენი ნაკრების მეკარეთა დამრიგებელი ოთარ გაბელია, როგორც ყოველთვის, იმედიანადაა:

— კარგი კია, იტალიას დასაწყისშივე რომ ვხვდებით. თუმცა ძლიერებთან შეხვედრა არ აგვცდებოდა და რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როდის შეხვდები?

— დასაწყისისთვის მოლდოვა ხომ არ სჯობდა?

— შეიძლება, სჯობდა კიდეც, მაგრამ ახლა რა აზრი აქვს. მთავარია, კალენდარი ვიცით და მისთვის ვემზადებით.

— გაისად ივნისის ერთ კვირაში ზედიზედ ორი თამაში გელით: 7-ში მოლდოვას ელებით, 14-ში პოლონეთში თამაშობთ. ამაზე რას იტყვით?

— ეს ორი მატჩი იმ შემთხვევაში იქნება ჩვენთვის ხელსაყრელი და სარგებლიანი, თუ ბიჭებს, განსაკუთრებით ლეგიონერებს, თავ-თავიანთ კლუბებში აღარ გავუშვებთ და ისევ შეკრებაზე დავტოვებთ. ეს მართლაც იდეალური ვარიანტი იქნება, რადგან ნაკრები, ფაქტობრივად, ათი დღე ვეყოლება შინ და ფეხბურთელებთან მუშაობის მეტი საშუალება გვექნება.

— ბოლო მატჩში პოლონელებს ვმასპინძლობთ...

— ძალიან კარგი, ბოლო მატჩს რომ შინ ვთამაშობთ. რა თქმა უნდა, გააჩნია მთელ ეტაპს როგორ გავივლით, მაგრამ ხომ შეიძლება, ეს ბოლო თამაში გადამწყვეტი აღმოჩნდეს? ასეთ შემთხვევაში ამაზე უკეთეს ვარიანტს ვერც ვინატრებთ.

— 9 ოქტომბრამდე დიდი დროა. ნაკრების შესათამაშებლად, იმედია, არაერთ ამხანაგურ მატჩს გამართავთ. რაიმე ხომ არ იცით მომავალი სპარინგ-პარტნიორების შესახებ?

— მოთამაშეების კლუბებიდან გამოძახება, იცით, წელიწადში შვიდჯერ შეგვიძლია. წლეულს ორი ოფიციალური თამაში გვიწევს, ესე იგი, ხუთი ამხანაგური თამაშის გამართვას შევძლებთ უძლიერესი შემადგენლობით. ახლა ამხანაგური თამაშები აუცილებლობაა — ნაკრები, ასე თუ ისე, უკვე შეთამაშდა და გამოცდილებაც მიიღო. როგორც გავიგე, ევროპის საკმაოდ ძლიერი ნაკრებებიც დაინტერესებულან ჩვენთან თამაშით, ორ მატჩს შინ უეჭველად ვითამაშებთ, სამიც სტუმრად უნდა გავმართოთ. მოკლედ, 9 ოქტომბერს უკვე შეთამაშებულები შევხვდებით.

— რაკი მეკარეთა მომზადება გევალებათ, ამასაც გკითხავთ: ეროვნულ გუნდში ახლა ორი მეკარეა. დევაძის და ზოიძის ოსტატობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ იქნებ აჯობებდეს, ხანდახან შეკრებაზე მესამე მეკარეც მიიწვიოთ — ამ შემთხვევაში კონკურენცია უეჭველად გამძაფრდება. ნაკრებში ადგილი დაჯავშნული მაქვსო — ვერავინ იფიქრებს...

— მართალი ბრძანდებით. სხვათა შორის, უკვე შევიგულეთ კიდეც ყველასთვის კარგად ცნობილი ნიკა ჩხეიძე. მისი მოწვევა ადრეც გვინდოდა, მაგრამ ერთი წელი გაუცდა, მეკარეს კი, რაც უნდა ბევრი ივარჯიშოს, სულაც თავი მოიკლას ვარჯიშით, მაინც შეეტყობა უთამაშებლობა, ფსიქოლოგიური შიშიც შეეპარება და თუ მეკარეს ეშინია... მოკლედ, ნიკაზე ამ მოსაზრებებით ვამბობდით უარს. საბედნიეროდ, ჩხეიძე გერმანიაში საკმაოდ კარგად ათამაშდა და ისევ მიიპყრო ჩვენი ყურადღება, ასე რომ, შეკრებაზე უკვე სამ მეკარეს გამოვიძახებთ. მაგრამ არც ესაა საბოლოო ვარიანტი — უყურადღებოდ არც ვლადიკავკაზში მოთამაშე გრიშიკაშვილი დაგვირჩება. ნაკრებში ხომ მხოლოდ უძლიერესები უნდა თამაშობდნენ. საერთოდ კი არც დევაძეს და არც ზოიძეს კონკურენციის „შიში“ არ აკლიათ, რადგან ორივე ჩინებული მეკარეა და ორივეს პირველობა სურს. ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, მეგობრები არია, მაგრამ სპორტია და ორივე პირველობაზე ფიქრობს. ეს ვიცი, გამომიცდია, ასე რომ, ეს ორიც რომ დარჩეს, კონკურენცია მაინც იქნება.

— ბოლოს ისევ იტალიასთან, 9 ოქტომბრის მატჩზე მინდა გკითხოთ...

— ფაქტია, რომ იტალიას შინ მოგების მეტი შანსი აქვს, უტვინო უნდა იყო კაცი, ამ თამაშზე ჩვენი შანსები 50-50-ზე შეაფასო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა წავაგოთ. მეტსაც გეტყვით, არაა გამორიცხული, გავიმარჯვოთ. ევროპაშიც და მსოფლიოშიც ძალზე გათანაბრდა დონე, ლაჭკრიასავით გახდა — ვინ ვის მოუგებს, დანამდვილებით ვერ იტყვი. აგერ, ახლა აფრიკის ჩემპიონატს ვუყურებ და ზოგჯერ იმისთანას ვხედავ, ბრაზილია და არგენტინა მონაგონია. ასეთია დღევანდელი ფეხბურთი. ჩვენ კი, რადგან მიზნად საფრანგეთში მოხვედრა დავისახეთ, ყველა მატჩის მოგებაზეც უნდა ვიფიქროთ. მოკლედ, იტალიელებთან გამარჯვებისთვის ჩავალთ. სხვათა შორის, ამას წინათ საკის ინტერვიუ წავიკითხე, ძალზე სერიოზულად ემზადება ჩვენთან შესახვედრად, ესე იგი სერიოზულ ძალად გვთვლის. ერთი სიტყვით, ბიჭებს გამარჯვებისთვის შევამზადებთ...

— ინგლისზე ჯერ არაფერი გვითქვამს...

— ჩემამდე თქვენს ნაკრების წევრებმა, ინგლისის არ გვეშინიაო. მეც ვეთანხმები მათ. მეც მითამაშია ბრიტანელებთან და ამ ახალ თაობასაც. ბრიტანელებს ყოველთვის უჭირდათ ტექნიკურ გუნდებთან თამაში, მთავარია, მათთან მეორე სართულზე არ წააგო ბრძოლა, თორემ მორჩენილია მათი საქმე. ინგლისელების კომპლექსი არ გვექნება.

ისევ იტალიელებს უნდა დავუბრუნდე. არ უნდა ვიფიქროთ, იტალიელებს ევროპის ჩემპიონატის მერე ჩავარდნა ექნებათო. იტალია ყოველთვის იტალიაა. ამ თამაშის მერე, მერწმუნეთ, ყველა მეტოქესთან მოგვეხსნება ფსიქოლოგიური შიში, უფრო თამამად ვითამაშებთ. არა, ძალიან კარგია, სწორედ იტალიელებს რომ ვხვდებით პირველ მატჩში.

მამუკა კვარაცხელია

# მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ევროპის შესარჩევი ჯგუფების განრიგი

## II ჯგუფი

იტალია, ინგლისი, პოლონეთი, საქართველო, მოლდოვა

### 1996

1 სექტემბერი, კვირა
მოლდოვა — ინგლისი
5 ოქტომბერი, შაბათი
მოლდოვა — იტალია
9 ოქტომბერი ოთხშაბათი
იტალია — საქართველო
ინგლისი — პოლონეთი
9 ნოემბერი, შაბათი
საქართველო — ინგლისი
10 ნოემბერი, კვირა
პოლონეთი — მოლდოვა

### 1997

12 თებერვალი, ოთხშაბათი
ინგლისი — იტალია
29 მარტი, შაბათი
იტალია — მოლდოვა
2 აპრილი, ოთხშაბათი
პოლონეთი — იტალია
30 აპრილი, ოთხშაბათი
ინგლისი — საქართველო
იტალია — პოლონეთი
31 მაისი, შაბათი
პოლონეთი — ინგლისი
7 ივნისი, შაბათი
საქართველო — მოლდოვა
14 ივნისი, შაბათი
პოლონეთი — საქართველო
10 სექტემბერი, ოთხშაბათი
საქართველო — იტალია
ინგლისი — მოლდოვა
24 სექტემბერი, ოთხშაბათი
მოლდოვა — საქართველო
7 ოქტომბერი, სამშაბათი
მოლდოვა — პოლონეთი
11 ოქტომბერი, შაბათი
საქართველო — პოლონეთი
იტალია — ინგლისი

## III ჯგუფი

ნორვეგია, შვეიცარია, ფინეთი, უნგრეთი, აზერბაიჯანი

### 1996

2 ივნისი
ნორვეგია — აზერბაიჯანი
31 აგვისტო
აზერბაიჯანი — შვეიცარია
1 სექტემბერი
უნგრეთი — ფინეთი
6 ოქტომბერი
ფინეთი — შვეიცარია
9 ოქტომბერი
ნორვეგია — უნგრეთი
10 ნოემბერი
შვეიცარია — ნორვეგია
აზერბაიჯანი — უნგრეთი

### 1997

2 აპრილი
აზერბაიჯანი — ფინეთი
30 აპრილი
შვეიცარია — უნგრეთი
ნორვეგია — ფინეთი
8 ივნისი
ფინეთი — აზერბაიჯანი
უნგრეთი — ნორვეგია
20 აგვისტო
უნგრეთი — შვეიცარია
ფინეთი — ნორვეგია
6 სექტემბერი
შვეიცარია — ფინეთი
აზერბაიჯანი — ნორვეგია
10 სექტემბერი
ნორვეგია — შვეიცარია
უნგრეთი — აზერბაიჯანი
11 ოქტომბერი
შვეიცარია — აზერბაიჯანი
ფინეთი — უნგრეთი

## IV ჯგუფი

შვედეთი, ავსტრია, შოტლანდია, ლატვია, ბელარუსი, ესტონეთი

### 1996

1 ივნისი
შვედეთი — ბელარუსი
31 აგვისტო
ავსტრია — შოტლანდია
ბელარუსი — ესტონეთი
1 სექტემბერი
ლატვია — შვედეთი
5 ოქტომბერი
ესტონეთი — ბელარუსი
ლატვია — შოტლანდია
9 ოქტომბერი
ესტონეთი — შოტლანდია
შვედეთი — ავსტრია
ბელარუსი — ლატვია
9 ნოემბერი
ავსტრია — ლატვია
10 ნოემბერი
შოტლანდია — შვედეთი

### 1997

29 მარტი
შოტლანდია — ესტონეთი
2 აპრილი
შოტლანდია — ავსტრია
30 აპრილი
შვედეთი — შოტლანდია
ავსტრია — ესტონეთი
ლატვია — ბელარუსი
18 მაისი
ესტონეთი — ლატვია
8 ივნისი
ბელარუსი — შოტლანდია
ლატვია — ავსტრია
ესტონეთი — შვედეთი
20 აგვისტო
ესტონეთი — ავსტრია
ბელარუსი — შვედეთი
6 სექტემბერი
შოტლანდია — ბელარუსი
ავსტრია — შვედეთი
ლატვია — ესტონეთი
10 სექტემბერი
შვედეთი — ლატვია
ბელარუსი — ავსტრია
11 ოქტომბერი
შოტლანდია — ლატვია
ავსტრია — ბელარუსი
შვედეთი — ესტონეთი

## IX ჯგუფი

გერმანია, პორტუგალია, ჩრდ. ირლანდია, უკრაინა, ალბანეთი, სომხეთი

### 1996

31 აგვისტო
ჩრდ. ირლანდია — უკრაინა
სომხეთი — პორტუგალია
5 ოქტომბერი
უკრაინა — პორტუგალია
ჩრდ. ირლანდია — სომხეთი
9 ოქტომბერი
სომხეთი — გერმანია
ალბანეთი — პორტუგალია
9 ნოემბერი
გერმანია — ჩრდ. ირლანდია
ალბანეთი — სომხეთი
პორტუგალია — უკრაინა
14 დეკემბერი
პორტუგალია — გერმანია
ჩრდ. ირლანდია — ალბანეთი

### 1997

29 მარტი
ჩრდ. ირლანდია — პორტუგალია
ალბანეთი — უკრაინა
2 აპრილი
უკრაინა — ჩრდ. ირლანდია
ალბანეთი — გერმანია
30 აპრილი
გერმანია — უკრაინა
სომხეთი — ჩრდ. ირლანდია
7 ივნისი
უკრაინა — გერმანია
პორტუგალია — ალბანეთი
20 აგვისტო
ჩრდ. ირლანდია — გერმანია
უკრაინა — ალბანეთი
პორტუგალია — სომხეთი
6 სექტემბერი
გერმანია — პორტუგალია
სომხეთი — ალბანეთი
10 სექტემბერი
გერმანია — სომხეთი
ალბანეთი — ჩრდ. ირლანდია
11 ოქტომბერი
გერმანია — ალბანეთი
სომხეთი — უკრაინა

ორი თამაშის (უკრაინა — სომხეთი და პორტუგალია — ჩრდ. ირლანდია) თარიღი მოგვიანებით გაირკვევა.

# კალენდარი საუცხოოა, მთავარია, არ ვიყოთ ბოლო!

სატელეფონო ინტერვიუ კიშინიოველ კოლეგა ანდრეი პროდანთან („ფუტბალ პებდო“)

— ვარშავაში ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი იონ კარასი და ფედერაციის გენერალური მდივანი პაველ ჩობანუ გაემგზავრნენ. დაბრუნებისთანავე ფეხბურთის ფედერაციაში გამართეს პრესკონფერენცია, რომელსაც ყველა სპორტული ჟურნალისტი დაესწრო. ჯერ გენერალურმა მდივანმა ილაპარაკა: დაწვრილებით მოგვითხრო, როგორ შეადგინეს კალენდარი. შემდეგ ისაუბრა კარასმა, რომელმაც უპირველესად ეს განაცხადა — კალენდარი იმ სახით, როგორითაც მიიღეს, მოლდოვას ნაკრებისთვის საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნა, წინა ციკლში, ზოგიერთი რამ დაგვმეთ, რაკიღა არც გამოცდილება გვქონდა და თან გერმანიის ავტორიტეტმაც იმოქმედაო. მისი თქმით, მთავარი იყო, თავიდან აგვეცილებინა თამაშები დეკემბერ–იანვარ–თებერვალში, რადგან ეს პერიოდი მოლდოვაში ფეხბურთისთვის მკვდარი სეზონია, ხოლო იტალიასა და ინგლისში ფეხბურთი ამ დროისთვის ხურდებაო. ჩვენს შეკითხვაზე, მოლდოვა შინ 1996 წლის 5 ოქტომბრის მერე მხოლოდ 1997 წლის 24 სექტემბერს თამაშობს და გულშემატკივრებს მისი ქომაგობის საშუალება კიშინიოვში არ ექნებათო, კარასმა გვიპასუხა — ამ ხარვეზს ევროთასებზე მოასპარეზე გუნდები ამოავსებენ, თანაც წელს აქ მოლდოვისთვის სარეკორდო — 4 გუნდით ვიასპარეზებთ. მანამდე კი ნაკრები ამხანაგურ მატჩებს გამართავსო. კარასს არ დაუკონკრეტებია, ვისთან და სად ითამაშებს ნაკრები ამხანაგურ მატჩებს, თუმცა კი აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის ნაკრებ გუნდებთან. ვესაუბრეთ რუმინეთის ნაკრების ერთ-ერთ ხელმძღვანელს მარია ანჯელესკუს, მაგრამ დელიკატური უარი მივიღეთ — მოლდოვასთან სათამაშოდ ჰაჯის და პეტრესკუს გამოძახება უხერხულია, სუსტი ნაკრებით კი არ გვინდა წავაგოთო. მოძმე რუმინელები მაინც ითამაშებენ ჩვენთან, ოღონდ კლუბების ნაკრებით.

რას გეგმავს მოლდოვას ნაკრების მთავარი მწვრთნელი II შესარჩევ ჯგუფში? მწვრთნელის პასუხი ასეთი იყო: ჩვენი ამოცანა ახლაც იგივეა, რაც წინა შესარჩევ ეტაპზე — მთავარია, არ დავიკავოთ ბოლო ადგილი. შემდეგი შეკითხვა: რატომ არ იწვევს კარასი ნაკრებში მოკანს (ისრაელის „ბნე იეჰუდა“), დერკაჩს (ვლადიკავკაზის „სპარტაკი“), ტროპანეცს (ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზ ჩალი“). დერკაჩს ჟურნალისტებისთვის ისიც კი განუცხადებია, თუ მიმიწვევენ, დიდი სიამოვნებით ვითამაშებო. ამაზე კარასმა არაფერი გვიპასუხა, სამაგიეროდ, თქვა, რომ ჰოლანდიის „გოუ ეჰედში“ მოთამაშე კლეშჩენკოს და ნანს, აგრეთვე რუმინეთის „სპორტულში“ გადასულ კირილოვს (ამან ორი მატჩი ითამაშა ნაკრებში და ორივე საქართველოს ნაკრებთან) აუცილებლად მოვიწვევთ ეროვნულ გუნდშიო. ბოლოს კარასმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ მოლდოვას ნაკრებისთვის ამგვარად შედგენილი კალენდარი, ფაქტობრივად, საუკეთესოაო, რაშიც მეცია ერთხმად დაეთანხმა.

— ანდრეი, მეორე სეზონია მოლდოვაში ორი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს...

— ატაკის „ნისტრუს“ შემადგენლობაში საკმაოდ კარგად თამაშობენ ბრეგვაძე და მანაგაძე, გოლებსაც იტანენ, მაგრამ რომ გითხრა, ვარსკვლავებად ითვლებიან-მეთქი, მართალი არ ვიქნები.

— ახლა რა ხდება ჩემპიონატში?

— ჩემპიონატის მეორე წრე მარტის დამდეგს დაიწყება. ლიდერი კვლავაც „ზიმბრუა“, კვალში კვლავ „ტილიგული“ უდგას. სიტყვამ მოიტანა და, მოლდოვას თასის მეოთხედფინალში ერთ-ერთი წყვილი სწორედ ამ ორმა გუნდმა შეადგინა, ასე რომ, ერთ-ერთი განწირულია. „ზიმბრუ“ ახლა მოსკოვის ტურნირისათვის ემზადება, შემდეგ ჰოლანდიაში წავა შეკრებაზე. გუნდის მწვრთნელი კვლავ ალექსანდრე სპირიდონია, რომელმაც ტრავმა მოირჩინა, ბოლო მატჩებში ითამაშა კიდეც და გოლიც გაიტანა. რაც შეეხება „ტილიგულს“, მას სათავეში უდგას კიევის „დინამოს“ 70-იანი წლების ვარსკვლავი ვიქტორ მატვიენკო და ლობანოვსკისა არ იყოს, გუნდს სულს ხდის ფიზიკური დატვირთვებით. „ზიმბრუ“ კი უფრო ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს — ასე რომ, აინტერესო ბრძოლის მომსწრენი ვიქნებით. მოლდოვაში ახლა ხუთი ნორმალური გუნდია, დანარჩენები სუსტები არიან, არადა, ახლახან ჩვენი უმაღლესი ლიგა 16 გუნდამდე გაიზარდა, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ შევცდით და კვლავ შემცირებაზე უნდა ვიფიქროთ. ერთადერთი ფეხბურთის ფედერაციაა გუნდების ოდენობის გაზრდის მომხრე.

— სხვას რას გვეტყვით საინტერესოს?

— ახალი და საინტერესო ის არის, რომ ჩვენს ფეხბურთის ფედერაციას, ფაქტობრივად, ოთხი პრეზიდენტი ჰყავს. კონსტანტინე ტამპიზა საპატიო პრეზიდენტია, პეტრუ კომენდანტი — ნაღდი. გენერალური მდივანი პაველ ჩობანუც, ფაქტობრივად, პრეზიდენტად ითვლება, რადგან საგარეო საქმეები მხოლოდ მას ეხება და უცხოეთშიც მხოლოდ ის მოგზაურობს. შინაურ საქმეებს კი პირველი ვიცე-პრეზიდენტი ანატოლი ტესლევი განაგებს. ამ ოთხიდან ყველამ თავისი საქმე იცის და საათივით აქვთ აწყობილი. ასე რომ, მოლდოვურ ფეხბურთში „ოთხხელისუფლებიანობაა“.

მამუკა კვარაცხელია

# იტალია

## მილანი 1:0 პადოვა

45 000 მაყურებელი

მილანი: როსი, პანუჩი, კოკო (ტასოტი 46), ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი (ლენტინი 78), ბობანი, დესაი, რ. ბაჯო, სავიჩევიჩი (დონადონი 59), სიმონე

პადოვა: ბონაიუტი, სკონციანო (ამორუზო 69), კოპოლა, ჯამპიეტრო, ნავა, როზა, კრეეკი, ნუნციატა, ვან უტრეხტი (ფიორე 84), ლონგი, ვლაოვიჩი

გოლი: ბაჯო (56 პ)

გაფრთხილება: სავიჩევიჩი, ლონგი, როზა, ნავა, კოპოლა

67-ე წუთზე სიმონემ ვერ გაიტანა პენალტი

## ტორინო 0:3 ფიორენტინა

21 970 მაყურებელი

ტორინო: კანიატო, ფალკონე, დელ კანტო (დიონიჯი 59), ბაჩი, მალტალიატი, კრავერო, ანგლომა, ბერნარდინი, კარიჩი, მინაუდო, მილანეზე

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, სერენა, პიაჩენტინი (რობიატი 46; სოტილი 88), ამორუზო, პადალინო, შვარცი, ბიჯიკა, რუი კოშტა, ბატისტუტა, ბაიანო (კოისი 75)

გოლი: ბატისტუტა (58, 89), ბაიანო (69)

გაფრთხილება: ანგლომა, კარიჩი, ბატისტუტა, ამორუზო, ბიჯიკა

გაძევება: კოისი (89)

## ნაპოლი 1:0 ბარი

40 000 მაყურებელი

ნაპოლი: ტალიალატელა, პარი, ტარანტინო, ბორდინი, ტაკოლა, აიალა, ბუზო, პეკია, აგოსტინი ([illegible]ნეზე 85), პიცი (ბოლოსიანი 46), დი ნაპოლი (იმბრიანი 68)

ბარი: ფონტანა, მონტანარი, მანგონე, უერსონი, სალა, რიჩი (ვენტოლა 83), გაუტიერი (პ. ანონი 69), ინგესონი, ანდერსონი, პედონე (პარენტე 59), პროტი

გოლი: დი ნაპოლი (7)

გაფრთხილება: ტაკოლა, მონტანარი

## პარმა 2:0 ატალანტა

23 000 მაყურებელი

პარმა: ბუჩი, მუსი, დი კიარა, სენსინი, აპოლონი, კანავარო, ბრამბილა, დ. ბაჯო (კრიპა 24), მელი, ძოლა, პინი (ბენარივო 74)

ატალანტა: პინატო, ა. პაგანინი, სალვატორი, ბონაჩინა, ვალენტინი (ბოზელი 46), მონტერო, გალო (ტოვალიერი 46), სგრო (როტელა 56), ვიერი, ფორტუნატო, მორფეო

გოლი: პინი (36), მელი (45)

გაფრთხილება: სალვატორი, ბონაჩინა, ვიერი, ვალენტინი, სგრო

53-ე წუთზე ვიერიმ ვერ გაიტანა პენალტი

## კრემონეზე 3:3 იუვენტუსი

18 000 მაყურებელი

კრემონეზე: ტურჩი, გარსია, ჯანდებიაჯი, დე აგოსტინი (კრისტიანი 16), გუალკო, ვერდელი, პეტრაკი, პეროვიჩი, ფლორიანჩიჩი, მასპერო (ორლანდო 65), ტენტონი (ალოიზი 87)

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, ტორიჩელი, სოუზა (იუგოვიჩი 46), ვერხოვოდი, ტაკინარდი (დი ლივიო 64), კონტე, დეშამპი, ვიალი (პადოვანო 75), დელ პიერო, რავანელი

გოლი: ვიალი (11), ტენტონი (22, 76), მასპერო (56 პ), რავანელი (67 პ), ვერხოვოდი (94)

გაფრთხილება: პეროვიჩი, გუალკო, ტაკინარდი, ვერხოვოდი, დეშამპი

## კალიარი 4:1 უდინეზე

15 000 მაყურებელი

კალიარი: ფიორი, ბონომი, პანკარო, ბრესანი (მუცი 20), ვილა, ფირიკანო, ბიზოლი, სანა, სილვა, ვენტურინი, ოლივეირა

უდინეზე: ბატისტინი, პელეგი (პელეგრინი 77), ბერტოტო, როსიტო, მატრეკანო, ბია, შალიმოვი, დეზიდერი, ბირპოფი, სტროპა (მარინო 77), პოჯი (გრეგორი 6)

გოლი: მუცი (29), ოლივეირა (45), ბირპოფი (67), სილვა (70), ვილა (87)

გაფრთხილება: ბონომი, როსიტო, სტროპა

გაძევება: ბატისტინი (5)

## ვიჩენცა 1:1 ინტერი

18 124 მაყურებელი

ვიჩენცა: მონდინი, მენდესი, გროსი, დი კარლო (ლომბარდინი 84), ბიორკლუნდი, ლოპესი, ამბროზეტი (ამერინი 79), ვივიანი (მ. როსი 60), მურჯიტა, მაიინი, ოტერო

ინტერი: პალიუკა, პისტონე (ბერგომი 70), კარლოსი, ძანეტი, მ. პაგანინი, ფესტა, ბერტი, ბრანკა, ბ. კარბონე (ფრეზი 84), ინსი, განცი (ფონტოლანი 79)

გოლი: განცი (25), ოტერო (90 პ)

გაფრთხილება: მენდესი, დი კარლო, ბერტი

## რომა 3:1 სამპდორია

51 338 მაყურებელი

რომა: ჩერვონე, ალდაირი, კარბონი, სტატუტო, პეტრუცი, ლანა, მორიერო (ე. ანონი 81), კაპიოლი (დი ბიაჯო 60), ტერნი, ფონსეკა (დელვეკიო 88), ბალბო

სამპდორია: სერენი, ბალერი (ბელუჩი 88), პეზარეზი (იაკოპინო 77), ლამონიკა, მანინი, მიხაილოვიჩი, კარემბო, ინვერნიცი, კიეზა, სალსანო, ევანი (ზეედორფი 63)

გოლი: ბალბო (40 პ, 62, 94), მანინი (51)

გაფრთხილება: სტატუტო, პეზარი

გაძევება: მანინი (70), ალდაირი (91)

## პიაჩენცა 2:1 ლაციო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 18 | 10 | 7 | 1 | 27:12 | 37 |
| ფიორენტინა | 18 | 11 | 3 | 4 | 33:19 | 36 |
| პარმა | 18 | 9 | 7 | 2 | 29:16 | 34 |
| იუვენტუსი | 18 | 8 | 5 | 5 | 27:19 | 29 |
| რომა | 18 | 7 | 7 | 4 | 23:16 | 28 |
| ლაციო | 18 | 7 | 5 | 6 | 32:21 | 26 |
| ნაპოლი | 18 | 6 | 8 | 4 | 18:17 | 26 |
| ინტერი | 18 | 6 | 7 | 5 | 23:16 | 25 |
| ვიჩენცა | 18 | 6 | 7 | 5 | 17:16 | 25 |
| უდინეზე | 18 | 7 | 4 | 7 | 22:24 | 25 |
| კალიარი | 18 | 7 | 2 | 9 | 17:25 | 23 |
| სამპდორია | 18 | 5 | 7 | 6 | 27:29 | 22 |
| ატალანტა | 18 | 6 | 4 | 8 | 21:29 | 22 |
| პიაჩენცა | 18 | 5 | 4 | 9 | 20:34 | 19 |
| ტორინო | 18 | 3 | 8 | 7 | 17:29 | 17 |
| ბარი | 18 | 4 | 4 | 10 | 25:38 | 16 |
| პადოვა | 18 | 4 | 3 | 11 | 18:29 | 15 |
| კრემონეზე | 18 | 2 | 6 | 10 | 21:28 | 12 |

### ბომბარდირები:

ბატისტუტა (ფიორენტინა) — 13

პროტი (ბარი) — 13

ბირპოფი (უდინეზე) — 11

### სერია B

მე-20 ტური. ანკონა — რეჯინა 4:2, აველინო — ვენეცია 2:1, ბოლონია — ფიდელის ანდრია 2:1, ბრეშია — პესკარა 1:0, კიევო — ლუკეზე 2:2, კოზენცა — სალერნიტანა 0:0, ფოჯა — პერუჯა 1:0, ჯენოა — ვერონა 2:2, პალერმო — რეჯანა 0:0, პისტოიზე — ჩეზენა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეზენა | 20 | 8 | 7 | 5 | 28:19 | 31 |
| ბოლონია | 20 | 7 | 10 | 3 | 18:13 | 31 |
| პესკარა | 20 | 9 | 4 | 7 | 26:26 | 31 |
| ანკონა | 19 | 9 | 2 | 8 | 28:23 | 29 |
| ჯენოა | 20 | 8 | 5 | 7 | 33:29 | 29 |
| პალერმო | 20 | 6 | 11 | 3 | 15:15 | 29 |
| კოზენცა | 20 | 6 | 10 | 4 | 23:20 | 28 |
| ვერონა | 20 | 7 | 7 | 6 | 20:18 | 28 |
| რეჯანა | 20 | 7 | 7 | 6 | 18:19 | 28 |
| ბრეშია | 20 | 7 | 5 | 8 | 26:22 | 26 |
| პერუჯა | 20 | 6 | 8 | 6 | 23:21 | 26 |
| ვენეცია | 20 | 6 | 8 | 6 | 16:19 | 26 |
| სალერნიტანა | 20 | 6 | 7 | 7 | 17:15 | 25 |
| ფოჯა | 20 | 6 | 7 | 7 | 16:20 | 25 |
| ფ. ანდრია | 20 | 5 | 8 | 7 | 22:23 | 23 |
| აველინო | 20 | 6 | 5 | 9 | 21:27 | 23 |
| რეჯინა | 19 | 5 | 8 | 6 | 19:26 | 23 |
| ლუკეზე | 19 | 4 | 10 | 5 | 15:20 | 22 |
| კიევო | 20 | 3 | 12 | 5 | 15:17 | 21 |
| პისტოიზე | 19 | 3 | 7 | 9 | 18:25 | 16 |

ბომბარდირები: მონტელა (ჯენოა) — 16, არტისტიკო (ანკონა) — 13, ლუიზო (აველინო), პუბნერი (ჩეზენა) — 12

# ბოლი ცუდითაც კმაყოფილია

ცხრილს თუ დავხედავთ, ადვილად მივხვდებით, რა მნიშვნელობისა იყო „მანჩესტერ სიტისა" და „ქოვენთრის" თამაში. მეორე მხრივ, მნიშვნელობა ყოველთვის ცხარე და საინტერესო მატჩის საწინდარი როდია. მიუხედავად გასული კვირის შუაში თასზე „ლესტერის" განადგურებისა (5:0), „სიტი" შაბათს სულაც არ ჰგავდა იმ გუნდს, თამაშის და გოლების გატანის იშტაზე რომაა მოსული. პირველ ტაიმში ალან ბოლის გუნდმა საგანგებო ჟინი და მონდომება ვერ გამოავლინა. ისიც აღსანიშნავია, რომ მანჩესტერელი ირლანდიელი ნეილ ქუინი რამდენჯერმე უხეშად შეცდა, მაგრამ შეცდომების მარტო მისთვის დაბრალება არ იქნებოდა სწორი. ორივე გუნდის ფეხბურთელები სცოდავდნენ ბურთის კონტროლისას და ნახევარდაცვაში ინიციატივას ერთმანეთს უთმობდნენ.

მეორე ტაიმში ნიკ სამერბიმ კუთხური რომ ჩააწოდა, კიტ საიმონსმა კი თაურით ბურთი სტუმართა მეკარის სტივ ოგრიზოვიჩის კარის ძელს ოდნავ გადააცილა, თამაში გამოცოცხლდა. გოლი კი 55-ე წუთზე გავიდა, როდესაც „სიტიში" მესამე დივიზიონის „ექსეტერ სიტიდან" ნახევარ მილიონ გირვანქად გადაყვანილი მარტინ ფილიპსი მარცხენა ფრთაზე წააქციეს. ჯარიმიდან ჩაწოდებული ქუინმა გონივრულად გადაუგდო უვე როსლერს, რომელმაც სეზონში მეოთხე გოლი გაიტანა. დაწინაურებამ მასპინძლები წაახალისა და მეტოქეს მეტადაც მიაწვნენ, მაგრამ ეს მხოლოდ 11 წუთს გაგრძელდა. 66-ზე კი მარკუს ჰოლის ჩაწოდებულს დაიონ დაბლინმა უხელთა, იან ბრაისველს დაასწრო და ანგარიში გაქვითა. ამის შემდეგ, ცხადია, კვლავ მასპინძლებმა გამოიღეს ხელი, მაგრამ ქუინმა ბოლო წუთზე გერი ფილკროფტის დაბალი, მაგრამ საზეირო პასი ვერ გამოიყენა.

მატჩის შემდეგ, პრეს-კონფერენციაზე, ალან ბოლს რომ უთხრეს, თამაშით და შედეგით ალბათ უკმაყოფილო იქნებითო, მან გაბრაზებულმა უპასუხა: „მწვრთნელი ვარ და თვალს ვადევნებ გუნდის ცხოვრებას, ამდენად, მკაფიოდ შემიძლია განვაცხადო, რომ იმ პროგრესით, სეზონის დასაწყისთან შედარებით რომ განიცადა გუნდმა, კმაყოფილი ვარ."

„ქოვენთრის" რონ ატკინსონი კი მატჩის უბედნიერესი კაცი გახლდათ: „ამ სეზონში „სიტის" ოთხი ქულა ავართვით. როგორც ჩანს, ჩვენთვის კარგი ჩემპიონატია. ქულებს თანდათან დავაგროვებთ."

ლიდერმა „ნიუკასლმა" „ბოლტონს" უმასპინძლა და 2:1 მოუგო. ახლა, როდესაც კიგანის გუნდი ფეხბურთის ასოციაციის თასიდანაც გავარდნილია და კოკა-კოლას თასიდანაც, ერთადერთ ამოცანად ჩემპიონობის მოპოვება რჩება. ამ მიზნის მისაღწევად კონცენტრირებულმა „ნიუკასლმა" „ბოლტონის" ძლევით მეთორმეტე საშინაო შეხვედრაში მეთორმეტედ გაიმარჯვა და მდევრებს — „მანჩესტერ იუნაიტედს" და „ლივერპულს" 12 ქულით გაუსწრო. რაც შეეხება დამარცხებულ მხარეს, იგი ცხრილის პოლარულად საპირისპირო ადგილზეა.

მასპინძლებს იმ დღეს მრავლად ჰქონდათ მომენტები, მაგრამ მხოლოდ ორჯერ შეაგდეს. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ მოედანზე არ იყო გუნდის შეტევათა დიდოსტატი ლეს ფერდინანდი. მისი ფუნქცია კიგანმა იმ დღეს პოლ კიტსონს დააკისრა. ნეკნ-დაშავებული ფერდინანდისთვის „ნიუკასლში" გადასვლის დღიდან ეს პირველი გამოტოვებული შეხვედრა გახლდათ. აქამდე 6 მილიონ გირვანქად შეძენილმა ამ თავდამსხმელმა 30 მატჩში 23 გოლი გაიტანა. ცხადია, ფერდინანდის არყოფნა მისი გუნდისთვის დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ მისმა ზემოხსენებულმა შემცვლელმა კიტსონმა ივაჟკაცა. მან მე-9 წუთზე ანგარიში გახსნა. სტუმარმა ბერგსონმა 19-ე წუთზე გაათანაბრა, მაგრამ 37-ზე ბერდსლიმ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა და „სენტ ჯეიმზ პარკზე" მისული ქომაგები დააწყნარა. ეს 35 წლის ბერდსლის მეასე გოლი იყო პრემიერლიგაში.

მატჩის შემდეგ კიგანმა თქვა: „ყველა შესაძლებლობიდან რამდენიმე მაინც რომ გამოგვეყენებინა, თამაში გაცილებით გაგვიიოლდებოდა. ჩვენი შემადგენლობაც შორს იყო იდეალურისგან, ო ?ხი წამყვანი მოთამაშე გვაკლდა. „ბოლტ ?ნმა" ჩვენი ხარვეზები დაგვანახა, მაგრამ ახლა ყველა პირობა გვაქვს საიმისოდ, ძალ-ღონე და აზრი რომ მოვიკრიბოთ და ჩემპიონობა მოვიპოვოთ."

„ბოლტონის" მწვრთნელმა კოლინ ტოდმა განაცხადა: „შესაძლოა, ხალხი ფიქრობდა, რომ ჩვენ „ნიუკასლისთვის" დასაკლელი ბატკნებივით ვიქნებოდით, მაგრამ ხომ ნახეთ, კინაღამ ფრე ვითამაშეთ. თუ ასე განვაგრძეთ, გავარდნისგან თავს დავიხსნით. ეს უეჭველია, რადგან ჩვენი მეტოქე, რომლის წინაამდეგაც ჩინებულად ვითამაშეთ, თავად „ნიუკასლი" იყო."

პრემიერლიგის თამაშებიდან „ლივერპულის" მიერ „ლიდს იუნაიტედის" განადგურებაც გამოსაყოფია. მასპინძლებმა მეტოქეს ხუთი უპასუხო გოლი შეუგდეს. მართალია, სანამ „ლიდსს" მეორე ტაიმის დასაწყისში გერი კელი არ გაუძევეს მოედნიდან, ლივერპულელები ისე ვერ ლაღობდნენ, მაგრამ საბოლოო შედეგი მაინც შთამბეჭდავია. მასპინძელთა მწვთრნელმა როი ევანსმა მატჩი ასე შეაფასა: „ისინი ხშირად ცდებოდნენ, ჩვენ კი მათ შეცდომებს ვიყენებდით."

ზემოხსენებული გაძევება 61-ე წუთზე იყო. მსაჯმა პოლ დარკინმა კელი საჯარიმოში რობ ჯოუნზის წაქცევისთვის გააძევა. ჯოუნზი „ლივერპულის" ცენტრალური მცველია, მაგრამ იმ ეპიზოდში გოლის გატანას ალარაფერი აკლდა. არადა, საბრალო კელი აშკარად ბურთზე თამაშობდა. საინტერესოა, რომ მეორე ტაიმის მთლ[illegible] დასაწყისში იგივე ჯოუნზი, ასევე საჯარიმოში დევიდ ვეზერპოლმაც წააქცია, თა[illegible] უკნიდან დაესხა თავს, მაგრამ მსაჯმა მაშინ ხელების ქნევა დაიწყო, აქაოდა არაფერი მომხდარა და თამაში განაგრძეთო.

მატჩის შემდეგ „ლიდსის" მწვრთნელი ჰავარდ ვილკინსონი მსაჯობით სასტიკად აღშფოთებული იყო. მან „უკანასკნელი იმედის ჯარიმის" წინააღმდეგაც გაილაშქრა. ასე იყო თუ ისე, კელის გაძევებამ და „ლიდსის" კარში ჯარიმის დანიშვნამ თამაშის ბედი ძირეულად შეცვალა. პენალტი ფაულერმა გაიტანა და ანგარიში 2:0 გახდა. ფაულერმა ექვს წუთში, 68-ზე კიდევ ერთი გოლი შეაგდო. მასავით ორი ოღონდ პირველი (27 წთ.) და ბოლო (90 წთ.) გაიტანა რადოკმაც. კიდევ ერთი გოლი ბოლოს წინა, 89-ე წუთზე კოლიმორმა შეაგდო. საერთოდაც, ლივერპულელებმა ჯონსმა, მაკმანამანმა და კოლიმორმა ისე ითამაშეს, რომ ნაკრების მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი კმაყოფილი დარჩა.

„ლიდსზე" იმის თქმაც უპრიანია, რომ მას, აფრიკის პირველობაზე თავისი ქვეყნის, განის ნაკრების ღირსების დასაცავად გამგზავრებული ტონი იებოა აკლდა.

პაპუნა ქედი[illegible]

# ინგლისი

## სიტი 1:1 ქოვენთრი

25 710 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი: იმელი, ლომასი (ფილიპსი 51), ქერლი, ქინქლაძე, ქუინი, ფლითქროფტი, ბრაისველი, საიმონსი, სამერბი, ბრაუნი, როსლერი

ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, ბოროუზი, ტელფერი, ნდლოვუ, დაბლინი, რიჩარდსონი, ჰოლი, ვილანი, პიკერინგი, სალაკო

გოლი: როსლერი (55), დაბლინი (66)

გაფრთხილება: საიმონსი, ბრაუნი, ვილანი

## არსენალი 1:2 ევერტონი

38 275 მაყურებელი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, მარშალი, ლინიგენი, ვინთერბერნი, მერსონი, იენსენი, კლარკი (დიკოვი 86), ჰელდერი, რაიტი, ბერხკამპი

ევერტონი: საუთჰოლი, აბლეთი, შორტი, ვოთსონი, პარკინსონი, კანჩელსკისი, ებრელი, ჰორნი, ფერგიუსონი, სტიუარტი, ამოკაში (ანსვორსი 87)

გოლი: რაიტი (38); სტიუარტი (50), კანჩელსკისი (84)

გაფრთხილება: იენსენი, ჰორნი, ფერგიუსონი

## ბლექბერნი 3:0 შეფილდი

24 732 მაყურებელი

ბლექბერნი: ფლაუერსი, კოულმენი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, რიპლი (გუდმუნდსონი 79), გალაჰერი, შირერი, ნიუელი (მაკკინლი 67), ბერგი, ბოჰინენი

შეფილდი: ვუდსი, ასერტონი, ნოლანი, ნიკოლი, უოდლი (კოვაჩევიჩი 46; ბრაითი 80), ჰირსტი, სტეფანოვიჩი (ბრისკოუ 57), დეგრიზი, ჰაიდი, უოქერი, ვითინგემი

გოლი: შირერი (28), ბოჰინენი (31), გალაჰერი (85)

## ჩელსი 1:0 ნოტინგემი

24 482 მაყურებელი

ჩელსი: ჰიჩკოკი, კლარკი, გულიტი, სპენსერი (ჰიკოკი 78), ჰიუზი (ფარლონგი 88), ვაიზი, ნიუტონი, ლი, პეტრესკუ, ფილანი, დაბერი

ნოტინგემი: ქროსლი, ლითლი, პირსი, კუპერი, ჩიტლი, ჯემილი (ლი 82), კემპბელი, სტოუნი, ვოანი, ბარტ-ვილიამსი, როი

გოლი: სპენსერი (55)

გაფრთხილება: ვაიზი, ლი, დაბერი, ჩიტლი, ჯემილი, ლი, სტოუნი

## ლივერპული 5:0 ლიდსი

40 254 მაყურებელი

ლივერპული: ჯეიმსი, ჯოუნზი, მაკატირი, ბები, კოლიმორი, ბარნსი, სქეილზი, თომასი, მაკმანამანი, ფაულერი, რადოკი

ლიდსი: ბინი, კელი, პალმერი, ვეზეროლი, ვოლესი, მაკალისტერი, სპიდი, ვორსინგტონი, ბროლინი (დინი 72), ფორდი, ჩეპმენი (ქუზენსი 62)

გოლი: რადოკი (27, 90), ფაულერი (62 პ, 68), კოლიმორი (89)

გაფრთხილება: რადოკი, ბროლინი

გაძევება: კელი (61)

## ნიუკასლი 2:1 ბოლტონი

36 543 მაყურებელი

ნიუკასლი: სრნიჩეკი, ბარტონი, ბერესფორდი, პიკოკი, ალბერი, კლარკი, ლი, ვოთსონი, ჟინოლა, ბერდსლი, კიტსონი (ჰაკერბი 73)

ბოლტონი: ბრენაგანი, გრინი (მაკანეპი 87), ფილიპსი, ბერგსონი, სტაბსი, [illegible], სელარსი, მაკგინლი, ბლეიკი (ტოდი 74)

გოლი: კიტსონი (9), ბერგსონი (19), ბერდსლი (37)

გაფრთხილება: ბერესფრდი

## საუთჰემპტონი 2:1 მიდლსბრო

15 151 მაყურებელი

საუთჰემპტონი: ბიზანტი, დოდი, ჩარლტონი, მეჯილტონი, ჰოლი, მონკოუ, ლ[illegible]ტისიე, ვენისონი, შიპერლი (ნილსონი 85), უოლტერსი, ოკლი (ვოთსონი 59)

მიდლსბრო: უოლში, კოქსი, მორისი, ვ[illegible]კერსი, პირსონი, ბარმბი, მური (ჰა[illegible]ნეტი 79), ვილანი, სტამპი (ო პალორანი 32), ბლეკმორი, ვილკინსონი

გოლი: ბარმბი (44), შიპერლი (64), ჰოლი (71)

გაფრთხილება: უოლტერსი, ვილანი, ო'ჰალორანი

გაძევება: ვილანი (70)

## უიმბლდონი 2:1 ქუინზ პარკი

9 123 მაყურებელი

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, [illegible]მბლი, ლეონარდსენი, ერლი, პოლდსვორსი, გეილი (ეკოკუ 46; არდლი 89), რივსი, ჰარფორდი, პერი, კლარკი

ქუინზ პარკი: სომერი, ბარდსლი, ბარკერი, მაკდონალდი, სინკლერი, ალ[illegible] (დიჩიო 67), ქუაში, იეიტსი, ჩელ[illegible] (გუდრიჯი 81), პეიტლი, ბრაზიე

გოლი: ლეონარდსენი (40), პეიტლი (57), კლარკი (74)

გაფრთხილება: კანინგემი, პოლდსვორსი, ეკოკუ, ჰარფორდი, ბარდსლი, სომერი, მაკდონალდი, ჩელისი, სინკლერი, ალ[illegible]ნი

გაძევება: ჰარფორდი (54)

## ასტონ ვილა 2:1 ტოტენჰემი

35 666 მაყურებელი

ასტონ ვილა: ბოსნიჩი, ჩარლზი, რაიტი, საუთგეიტი, მაკგრათი, ეჰიოგუ, იორკი, დრაპერი, მილოშევიჩი, ჯონსონი (ტეილორი 85), თაუნსენდი

ტოტენჰემი: უოქერი, ოსტინი, ედინბურგი, ნესერკოტი, კალდერვუდი, როზენტალი, ფოქსი, კესკი, კემპბელი, შერინგემი, არმსტრონგი

გოლი: მაკგრათი (23), ფოქსი (26), იორკი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 23 | 17 | 3 | 3 | 45:19 | 54 |
| ლივერპული | 23 | 12 | 6 | 5 | 46:21 | 42 |
| მანჩესტერ იუნ. | 23 | 12 | 6 | 5 | 42:28 | 42 |
| ტოტენჰემი | 24 | 11 | 8 | 5 | 33:24 | 41 |
| ასტონ ვილა | 22 | 11 | 6 | 5 | 30:17 | 39 |
| ბლექბერნი | 24 | 11 | 5 | 8 | 37:26 | 38 |
| არსენალი | 24 | 10 | 7 | 7 | 32:24 | 37 |
| ნოტინგემი | 23 | 9 | 10 | 4 | 33:32 | 37 |
| ევერტონი | 24 | 10 | 6 | 8 | 35:26 | 36 |
| ჩელსი | 24 | 9 | 9 | 6 | 25:25 | 36 |
| ლიდსი | 23 | 10 | 5 | 8 | 30:32 | 35 |
| მიდლსბრო | 24 | 9 | 6 | 9 | 26:26 | 33 |
| შეფილდი | 23 | 6 | 8 | 9 | 33:36 | 26 |
| უიმბლდონი | 24 | 6 | 6 | 12 | 33:46 | 24 |
| ვესტ ჰემი | 21 | 6 | 5 | 10 | 22:32 | 23 |
| საუთჰემპტონი | 23 | 5 | 8 | 10 | 22:33 | 23 |
| ქოვენთრი | 23 | 4 | 8 | 11 | 29:45 | 20 |
| მანჩესტერ სიტი | 23 | 5 | 5 | 13 | 13:33 | 20 |
| ქუინზ პარკი | 24 | 5 | 3 | 16 | 18:36 | 18 |
| ბოლტონი | 24 | 3 | 4 | 17 | 23:46 | 13 |

### ბომბარდირები:

შირერი (ბლექბერნი) — 21

ფაულერი (ლივერპული) — 20

ფერდინანდი (ნიუკასლი) — 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მექსიკა ოქროს თასებს აგროვებს

კვირას მექსიკამ მეორედ მოიპოვა „ოქროს თასი". ფინალში მან ბრაზილიის ოლიმპიური (23 წლამდე) ნაკრები დაამარცხა 2:0. მესამე ადგილისთვის შეერთებული შტატები და გვატემალა შეხვდნენ ერთმანეთს. აშშ-მ, რომელმაც ნახევარფინალში ბრაზილიასთან წააგო 1:0, გვატემალელებს სამი გოლი გაუტანა, ერთიც არ გაუშვა და ბრინჯაო მოიპოვა.

ჩრდილო, ცენტრალური ამერიკის და კარიბეთის ცხრაგუნდიან შეჯიბრებაში ბრაზილიელები სტუმრის სტატუსით მონაწილეობდნენ. ფინალში, მათ შემადგენლობაში არავინ იყო 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონთაგან. მექსიკელებმა ორივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს. პირველად 54-ე წუთზე ლუის გარსიამ შეაგდო. მეორედ, 75-ე წუთზე კუატემოკ ბლანკომ ივარგა. ორივეჯერ ასისტენტობა ალბერტო გარსია ასპემ გასწია. საგულისხმოა, რომ მექსიკის ნაკრებს ბრაზილიისთვის 1970 წლის შემდეგ არ მოუგია. მაშინ 1970-ში,



ერიკ ვინალდა

რიო დე ჟანეიროში 1:0 იყო. ახლა, როგორც კონკაკაფის თასის მფლობელი, მექსიკა 1997 წელს საუდის არაბეთის საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას. ფინალი ბრაზილიას რომ მოეგო, აშშ და მექსიკა შინ და სტუმრად გადაითამაშებდნენ საუდის არაბეთის საგზურს.

მესამე ადგილისათვის გამართულ შეხვედრაში ამერიკელმა ერიკ ვინალდამ 35-ე წუთზე თაურით კლაუდიო რეინას პასი გოლად აქცია და თავისი გუნდი დააწინაურა. ეს ერიკ ვინალდას 22-ე გოლი გამოდგა აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში და ბრუს მურეის რეკორდიც მოიხსნა. ამერიკელებმა ორ წუთში გაზარდეს ანგარიში. ეს ჯეფ აგუსმა მოახერხა, მესამე და საბოლოო გოლი კი ჯოვან კიროვსკიმ 88-ე წუთზე შეაგდო.

მატჩის შემდეგ აშშ-ის მწვრთნელმა სტივ სემპსონმა თქვა, დასაწყისში ნახევარდაცვაში ცუდად ვირჯებოდით, მაგრამ თანდათან თამაში გავაუმჯობესეთ და მოედნის ცენტრიდან ჯიქურ შეტევაზე გადავდიოდითო. მწვრთნელმა აღიარა, რომ გვატემალელებს შეეძლოთ ორი-სამი ბურთის შეგდება და რომ არა მეკარე კეისი კელერი, ამას შეძლებდნენ კიდეცო. მართლაც, გვატემალელებს ჰქონდათ ათწუთიანი მონაკვეთი, როდესაც სამჯერ შეეძლოთ ანგარიშის შეცვლა, მაგრამ მათი ცდა ამაო გამოდგა.

მატჩის შემდეგ, ცხადია ერიკ ვინალდას პრეს-კონფერენციაც შედგა.

— თავისთავად გოლი ჩემთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა — თქვა ახალმა ამერიკელმა რეკორდსმენმა — სამწუხაროა, რომ ეგ სარეკორდო ბურთი ნახევარფინალში, ბრაზილიის კარში ვერ შევაგდე. რაც შეეხება ბრუს მურეის, რომლის შედეგიც გავაუმჯობესე, ის ჩემი ახლო მეგობარია და ადრე დიდი მხარდაჭერა და თანადგომა მაგრძნობინა".

გოლის თანაავტორმა რეინამ მატჩის შემდეგ განაცხადა: „საგოლე პასს რომ ვაკეთებდი, შევნიშნე, რომ მეტოქეებს მცდარი პოზიცია ეკავათ. არა მგონია მათ ჩვენს ტემპში თამაში შეძლებოდათ. ჩვენი ყველა მოთამაშე მათზე სწრაფი იყო."

## ესპანეთი

22-ე ტური. ვალენსია — დეპორტივო 2:1; რეალი — რაიო ვალეკანო 1:2; ოვიედო — სარაგოსა 1:1; სანტანდერი — ატლეტიკი 1:1; სოსიედადი — ატლეტიკო 1:0; ბეტისი — მერიდა 0:1; ალბასეტე — ხიხონი 1:3; ტენერიფე — სევილია 4:2; სალამანკა — ესპანიოლი 2:2; კომპოსტელა — სელტა 1:1; ბარსელონა — ვალიადოლიდი 1:0

თანაქალაქელ გუნდთან წაგება ვერ აიტანა მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა და არგენტინელი მწვრთნელი ხორხე ვალდანო, ვინც შარშან გუნდს ჩემპიონობა მოუტანა, გუშინ სამსახურიდან დაითხოვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 22 | 15 | 4 | 3 | 39:11 | 49 |
| კომპოსტელა | 22 | 13 | 4 | 5 | 30:23 | 43 |
| ბარსელონა | 22 | 12 | 6 | 4 | 41:19 | 42 |
| ესპანიოლი | 22 | 12 | 6 | 4 | 33:17 | 42 |
| ვალენსია | 22 | 12 | 3 | 7 | 36:27 | 39 |
| ტენერიფე | 22 | 9 | 8 | 5 | 39:33 | 35 |
| ბეტისი | 22 | 8 | 10 | 4 | 31:24 | 34 |
| რეალი | 22 | 9 | 6 | 7 | 38:31 | 33 |
| დეპორტივო | 22 | 9 | 5 | 8 | 35:20 | 32 |
| ატლეტიკი | 22 | 7 | 8 | 7 | 26:26 | 29 |
| სოსიედადი | 22 | 8 | 5 | 9 | 29:33 | 29 |
| სელტა | 22 | 7 | 7 | 8 | 22:25 | 28 |
| ხიხონი | 22 | 8 | 2 | 12 | 29:31 | 26 |
| სარაგოსა | 22 | 6 | 8 | 8 | 21:28 | 26 |
| ოვიედო | 22 | 5 | 8 | 9 | 22:32 | 23 |
| რაიო ვალეკანო | 22 | 6 | 5 | 11 | 25:39 | 23 |
| სალამანკა | 22 | 5 | 7 | 10 | 34:36 | 22 |
| მერიდა | 22 | 4 | 10 | 8 | 18:28 | 22 |
| სევილია | 22 | 5 | 7 | 10 | 22:36 | 22 |
| სანტანდერი | 22 | 5 | 7 | 10 | 24:40 | 22 |
| ალბასეტე | 22 | 5 | 6 | 11 | 33:46 | 21 |
| ვალიადოლიდი | 22 | 2 | 8 | 12 | 24:40 | 14 |

## საფრანგეთი

24-ე ტური. ლე ავრი — პსჟ 1:1; კანი — ოსერი 0:1; მონაკო — ბორდო 2:0; ნანტი — ლილი 1:2; გენიონი — ბასტია 1:0; გინგამი — სენტ ეტიენი 3:0; ლანსი — ნიცა 0:0; მონპელიე — მარტიგი 2:0; სტრასბური — მეცი 2:1; ლიონი — რენი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 24 | 13 | 9 | 2 | 46:19 | 48 |
| ოსერი | 24 | 13 | 3 | 8 | 40:23 | 42 |
| ლანსი | 24 | 10 | 12 | 2 | 26:14 | 42 |
| მეცი | 24 | 11 | 8 | 5 | 23:17 | 41 |
| მონაკო | 24 | 11 | 6 | 7 | 37:27 | 39 |
| სტრასბური | 24 | 9 | 9 | 6 | 33:23 | 36 |
| გინგამი | 24 | 9 | 9 | 6 | 20:17 | 36 |
| ნანტი | 24 | 9 | 9 | 6 | 27:25 | 36 |
| ბასტია | 24 | 10 | 5 | 9 | 33:30 | 35 |
| მონპელიე | 24 | 9 | 7 | 8 | 32:29 | 34 |
| რენი | 24 | 8 | 9 | 7 | 27:28 | 33 |
| ნიცა | 24 | 9 | 5 | 10 | 26:26 | 32 |
| ლე ავრი | 24 | 7 | 7 | 10 | 21:31 | 28 |
| ლიონი | 24 | 5 | 12 | 7 | 25:28 | 27 |
| ბორდო | 24 | 7 | 4 | 13 | 24:34 | 25 |
| სენტ ეტიენი | 24 | 5 | 10 | 9 | 27:38 | 25 |
| კანი | 24 | 6 | 5 | 13 | 26:37 | 23 |
| ლილი | 24 | 5 | 8 | 11 | 18:32 | 23 |
| გენიონი | 24 | 4 | 10 | 10 | 16:29 | 22 |
| მარტიგი | 24 | 5 | 3 | 16 | 18:38 | 18 |

# გაგრძელება იქნება...

... და ალბათ, უახლოეს მომავალში. „ბოსმანის საქმემ" ისე არივ-დარია საფეხბურთო ცხოვრება, გამგები ცოტა თუ მოიძებნება. როგორც გახსოვთ, ევროკავშირმა უეფასგან უცხოელთა ლიმიტის გაუქმება მოსთხოვა, ამან კი ევროთასებზე შემორჩენილ გუნდებს შეატყობინა — ძველებურად მოიქეცით და ოთხი უცხოელი არ ათამაშოთ, თორემ დაგსჯითო. ეს რომ ევროგაერთიანების სოციალურ პრობლემათა კომისიამ შეიტყო, უეფას ულტიმატუმი წაუყენა — ექვსი კვირის ვადაში შეცვალე გადაწყვეტილება, თორემ უკანონო ორგანიზაციად გამოგაცხადებ, თან დაგაჯარიმებ და წლიური შემოსავლის ათ პროცენტსაც წაგართმევო. მოკლედ, „ცულს მოვიტან ცუნცულასა" არ იყოს, საწყალი უეფა საფრთხის წინაშე დადგა და რას მოიმოქმედებს, ძნელი სავარაუდოა.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ ზემოთქმული პრობლემა მხოლოდ ერთი ნაწილია ყბადაღებული „ბოსმანის საქმისა". სასამართლოს მეორე გადაწყვეტილება კი ტრა-



ნსფერის სისტემას ეხება — კონტრაქტის ვადის გასვლის შემთხვევაში კლუბს მოთამაშეზე ყველა უფლება ერთმევა. უეფას ამაზეც არ მიუღია რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება, მაგრამ სასამართლოს განაჩენი პრაქტიკულად უკვე ხორციელდება. იოლანდია და თავგასულ კლუბებს უკვე დაუდგამთ თვალი იმ ფეხბურთელებზე, რომლებსაც კონტრაქტი ამ სეზონის ბოლომდე აქვთ თავიანთ კლუბებთან დადებული. თუნდაც „მილანი", ვისაც ნახევარი „აიაქსის" წასხმა გადაუწყვეტია. მოკლედ, თუ ეს ფეხბურთისთვის საზიანო კანონი ამოქმედდა, აიაქსისნაირ კლუბებს, მოთამაშეებს პატარაობიდან რომ ზრდის, ვარსკვლავებად აქცევს და მერე მისი გაყიდვით მორიგი თაობის გასაზრდელ ფულს შოულობს, ძლიერ გაუჭირდებათ.

სანამ უეფა და ევროკავშირი კამათობენ, გაირკვა, რომ იტალიის პარლამენტის ქვედა პალატა უფრო პროგრესულად მოაზროვნეა, ვიდრე ზედა — გასულ კვირას ქვედამ ზედას ერთი თვის წინანდელი კანონპროექტი არ დაუმტკიცა. ამრიგად, იტალიის ჩემპიონატის მატჩებში თითო გუნდიდან სამ უცხოელზე მეტი კვლავ ვერ ითამაშებს.

# საფეხბურთო ტოტალიზატორი ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი №15 (27-29 იანვარი)

| | |
|---|---|
| 1. უდინეზე — მილანი | იტალიის ჩემპიონატი |
| 2. იუვენტუსი — პიაჩენცა | იტალიის ჩემპიონატი |
| 3. ინტერი — პარმა | იტალიის ჩემპიონატი |
| 4. პადოვა — ნაპოლი | იტალიის ჩემპიონატი |
| 5. ატლეტიკო — ატლეტიკი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6. ბარსელონა — სარაგოსა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7. ოვიედო — რეალი | ესპანეთის ჩემპიონატი |

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 27 იანვარს 16.00-ზე.

№ 13 ტირაჟის შედეგები

1. 2-2 2. 0-2 3. 0-1 4. 2-2 5. 4-0 6. 1-1 7. 5-1

მოგებები: ხუთი, ექვსი, შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. სრული JACK POT. შესაბამისად 210, 1230 და 1560 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან: დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, ახმეტელი, სამგორი. ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგებები გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მე-3 სართული, ფირმა „ესკიზი" (11.00 — 14.00). თან იქონიეთ პასპორტი.

ტირაჟების ანონსი ქვეყნდება აგრეთვე გაზეთებში: „საქმოსანი", „7 დღე".

# უპირველესად სპორტული ჟურნალისტის ვიზიტი ყველასთვის სასარგებლო იყო



თოგაი ბაიათლი

საქმიანი ადამანები მოდიან, მაგრამ არ მიდიან. მართალია, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა თოგაი ბაიათლიმ სულ ხუთი დღე დაჰყო საქართველოში, საქმე, ცხადია, ამით არ დასრულებულა. ვიდრე ეს ვიზიტი რეალურ პრაქტიკულ შედეგს გამოიღებდეს, მასპინძლებსაც და სტუმარსაც ბევრი რამის გაკეთება მოუწევთ და ამას საკმაო დრო და ძალისხმევა დასჭირდება.

სწორედ ბატონ ბაიათლის სტუმრობის თაობაზე გვესაუბრება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი.

— უწინარესად, ასოციაციისა და ჩემი კოლეგების სახელით მინდა მადლობა გადავუხადო იმ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს, ვინც ბატონი ბაიათლის სტუმრობის დღეებში მორალურად და ფინანსურად გვერდში დაგვიდგა. მათი დახმარება რომ არა, ვიზიტი ასეთი წარმატებული ვერ იქნებოდა. ვფიქრობ, აიპსის პრეზიდენტთან შეხვედრები და საუბრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, არა მარტო ჩვენთვის, სპორტული ჟურნალისტებისათვის, არამედ ყველასთვის სასარგებლო და საინტერესო გამოდგა. საქმე ის გახლავთ, რომ ბატონი ბაიათლი სპორტულ ჟურნალისტთა შეფიც არიის და მრავალმხრივი სპორტული მოღვაწეც — თურქეთის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი, არაერთი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის წევრი, ამავე დროს — ბიზნესმენიც. ერთიც მინდა აღვნიშნო: ნებისმიერ შეხვედრაზე ბატონი ბაიათლი ხაზს უსვამდა, რომ ის უპირველესად სპორტული ჟურნალისტია, საქართველოში კოლეგების მოწვევით ჩამოვიდა და მოხარული იქნება, თუ მისი სტუმრობა კეთილ ნაყოფს გამოიღებს — ქართველ ჟურნალისტებს პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება.

სტუმართან პირველი შეხვედრა, ბუნებრივია, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ოფისში შედგა... აიპს-ის პრეზიდენტი დაინტერესდა ჩვენი საქმიანობით — რას ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ. ინფორმაციის მიღების შემდეგ გამოთქვა რამდენიმე საინტერესო მოსაზრება, რომელთა რეალიზაცია დაგვეხმარება საქმის უკეთ წარმართვაში, უცხოელ კოლეგებთან კონტაქტების დამყარებაში. სტუმარი, ასე ვთქვათ, თეორიული რეკომენდაციებით არ შემოფარგლულა. რაც უნდა მიმზიდველი იყოს იდეა, მისი განხორციელება სურვილთან ერთად ფულს მოითხოვს. ჩვენი თურქი კოლეგების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ბატონმა ბაიათლიმ შემოგვთავაზა თბილისში საფეხბურთო ტურნირის გამართვა საქართველოს და თურქეთის თითო ან ორ-ორი საუკეთესო გუნდის მონაწილეობით. ტურნირის ორგანიზატორი იქნება სსჟა, შემოსავლის მთავარი წყარო — თურქეთის ერთ-ერთი ტელეკომპანია, რომელიც ამ მატჩების ტრანსლაციის უფლებას იყიდის, რაშიც ბაიათლის ეჭვი არ ეპარება... „სარბიელმა" ეს თემა დაწვრილებით გააშუქა და სიტყვას არ გავაგრძელებ, მხოლოდ ერთს დავუმატებ: თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბში, ეროვნულ სტადიონზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში, საქართველოს პარლამენტში გამართულ შეხვედრებზე ბაიათლი არაერთხელ მიუბრუნდა ტურნირის გამართვის იდეას. ახლა ის თბილისის „დინამოს" დირექტორატის ოფიციალურ თანხმობას დაელოდება და საქმეც დაიძვრება. იმედი მაქვს, „დინამოს" ხელმძღვანელობისგან თანხმობა იქნება.

ცხადია, ხუთი დღე საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ჩვენი სტუმრის ცნობისმოყვარეობა დაგვეკმაყოფილებინა, დეტალურად გაგვეცნო სპორტულ ჟურნალისტთა საქმიანობა, ქართული სპორტის მიღწევები და საოლიმპიადო პერსპექტივები. ბატონმა ბაიათლიმ ხაზი გაუსვა სპორტში დასაქმებული ხალხის — ჟურნალისტების, სპორტის ხელმძღვანელების, ოლიმპიური კომიტეტის, ფედერაციების, კლუბების, მწვრთნელ-სპეციალისტების თანამშრომლობის აუცილებლობას, დაინტერესდა საერთაშორისო შეჯიბრებებზე პრესცენტრების ორგანიზაციით, ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობას სთხოვა, კეთილმოაწყოს ჟურნალისტებისთვის და ტელე-რადიო კომენტატორებისთვის განკუთვნილი ადგილები. სტუმარი გულისყურით მოეკიდა სპორტის დეპარტამენტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, ძიუდოს ფედერაციის საქმიან წინადადებებს, თქვა, რომ მოხარული იქნება, თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოსა და თურქეთის სპორტულ ორგანიზაციებს შორის კონტაქტების განმტკიცებაში.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო კეთილგანწყობა, რომელიც ბაიათლიმ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიმართ გამოამჟღავნა. ვფიქრობ, ისეთი ბევრი არაფერი გაგვიკეთებია, საქმე თავმოსაწონებლად გვქონდეს, ამიტომ აიპს-ის პრეზიდენტის ქების სიტყვები უფრო ავანსად მივიღეთ. ამასთან, ეტყობა, ბაიათლი ითვალისწინებს პირობებს, რომლებშიც ჩვენ გვიწევს მუშაობა, როცა შემოსავლის მუდმივი წყარო არა გვაქვს და ქველმოქმედთა შემოწირულობებით ვარსებობთ. იმედი მაქვს ამ და სხვა პრობლემათა მოგვარებაში უთუოდ დაგვეხმარება ბაიათლის საქართველოში სტუმრობა, რომელიც თბილისით არ შემოფარგლულა. ვიყავით ქუთაისსა და ბათუმში. ეს იყო გულთბილი და საქმიანი შეხვედრები, თანაც, როგორც პოლიტიკოსები ამბობენ — უმაღლეს დონეზე. ქუთაისში სტუმარი მიიღო ბატონმა თემურ შაშიაშვილმა, ბათუმში — ბატონმა ასლან აბაშიძემ. ბაიათლი აღტაცებული დარჩა ქუთაისის საბავშვო ანსამბლ „იმედის" კონცერტით და სპორტის მუზეუმით, ბათუმის სტადიონით და კორტებით. სტუმარმა „საჩვენებელი" მატჩი გამართა ნორჩ ბათუმელ ჩოგბურთელთან და ვიზიტიც ამით დასრულდა.

ჩვენც აქ დავსვათ წერტილი.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ესპანეთის ჩემპიონატი.

23-ე ტური

24 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკი — რეალი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| რაიო ვალეკანო — ოვიედო | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| სარაგოსა — ბეტისი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| მერიდა — ბარსელონა | 3,4 | 2,7 | 1,6 |
| ვალიადოლიდი — ვალენსია | 2,8 | 2,6 | 1,8 |
| დეპორტივო — კომპოსტელა | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| სელტა — სალამანკა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ესპანიოლი — ტენერიფე | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| სევილია — ალბასეტე | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| სპორტინგი — სოსიედადი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ატლეტიკო — რასინგი | 1,15 | 3,1 | 7,0 |

ტურში გატანილი გოლები:

27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9

ინგლისის ლიგის თასი.

მეოთხედფინალი. გადათამაშება

24 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემ სიტი — ნორვიჩი | 1,4 | 2,8 | 4,4 |

აფრიკის თასის მატჩების ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | 2-0 | | | | 1-1 | | 1-1 | | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-1 | | | 2-0 | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | | 1-0 | 1-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-1 | | | | 4-1 | | | 1-0 | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | | | 4-0 | 1-0 | 0-0 | | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | 4-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | 2-0 | | | | 0-0 | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | | 1-0 | ■ | | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | | 0-0 | 2-0 | | | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | | | 4-1 | | | | 3-1 | | | | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | | | | 2-0 | 0-6 | | ■ | 1-5 | | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | | ■ | 2-3 | | 2-2 | 3-2 | | | 4-1 | 2-0 | | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | | 0-0 | | 1-0 | 0-2 | | 2-0 | | ■ | 2-1 | | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | | | | | | | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-2 | | | 0-1 | 0-2 | | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | | 2-1 | | 1-1 | 2-1 | | ■ | | | | 0-1 | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | | 0-0 | | | 3-1 | 3-1 | ■ | | 1-1 | 3-3 | | 3-0 | 0-3 | |
| 16 | SALAMANCA | | | | 2-1 | | | | 1-3 | | 0-2 | | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | 2-0 | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | | 0-1 | | 4-3 | | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | 2-2 | 0-0 | | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | | | 3-0 | | | 3-3 | 3-0 | | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | | | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | | | 1-1 | | | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | | | | 1-0 | 0-2 | | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | | | | | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | | | | 3-1 | | 1-1 | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | 3-0 | 5-1 | | | | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | | | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | | 1-4 | | 1-0 | | | 0-0 | 3-0 | 0-0 | | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | | | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | | ■ | 2-0 | | | 2-3 | 4-0 | 1-3 | | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | | 1-0 | 3-1 | | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | | 3-0 | 5-2 | | 0-0 | 1-2 | | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 | | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | | 1-1 | | | | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | 1-1 | | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | | | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | | 1-0 | ■ | 3-1 | | | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | | | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | | | 1-0 | | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | | | | 1-1 | 1-3 | | | | 1-0 | 3-4 | 2-0 | | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | | | ■ | | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | 1-4 | 1-1 | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | 0-0 | | | | | | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | 1-1 | 3-2 | | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | | 0-0 | 3-3 | | | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |


## CLEAR WATER TRAINING TOURS

### საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით

საქმიანი მგზავრობა პროფესიული სწავლების პროგრამით **CLEAR WATER** განკუთვნილია საწარმოების, ფინანსური და კომერციული სტრუქტურების სპეციალისტებისთვის, რომლებიც თავიანთი სპეციალობით დაინტერესებულნი არიან უცხოეთში მოკლევადიანი პროფესიული ინტენსიური სწავლების პროგრამით. დიდ ბრიტანეთს, როგორც საყოველთაოდ აღიარებული ბიზნესისა და ფინანსების საერთაშორისო ცენტრს, აქვს დიდი სასწავლო და საკვლევი პოტენციალი.

სწავლებასთან ერთად ტური ითვალისწინებს ფართო საექსკურსიო პროგრამასაც.

**CLEAR WATER** ფინანსების, ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემიასთან ერთად ოცზე მეტ სპეციალობაში გთავაზობთ სწავლების მოქნილი პროგრამის ფართო ასორტიმენტს ხელმისაწვდომ და სუბსიდირებულ ფასებში — 3500 ამერიკული დოლარი ერთ მსმენელზე. ღირებულებაში შედის: ლონდონში 10 დღიანი ყოფნა (მეცადინეობა და კულტურული პროგრამა), ავიაბილეთების ფასი, ცხოვრება და სასტუმროში სამჯერადი კვება, ვიზების გაფორმება, მგზავრობის მთლიანი დაზღვევა და ლონდონში მთარგმნელის მომსახურება.

სწავლებაში ჩართულია ლექციები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობა, დიდი ბრიტანეთის წამყვანი საწარმოებისა და კომპანიების მონახულება. მათი მიზანია აჩვენონ, თუ რეალურად როგორ მუშაობენ დასავლეთისა და უწინარეს ყოვლისა დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ორგანიზაციები.

სასწავლო ტური საერთაშორისო კონტაქტებისა და კოლეგებთან იდეების გაცვლის შესაძლებლობასაც იძლევა. ეს ტური განსაკუთრებით სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც მოკლე ვადებში თავისი კვალიფიკაციის ამაღლებისკენ ისწრაფვის.

ცნობებისათვის დარეკეთ:

თბილისში — 93-16-08, ლონდონში — 480-35-16

რვაათასიანები

# გაშერბრუმ II – 8036

**ჰიმალაის მთებში ბევრი ბორიალისა და ასვლა-ჩამოსვლის მერე კვლავ ყარაყორუმში გადავინაცვლოთ და იქ დარჩენილი სამი რვაათასიანიც „დავლაშქროთ". თუ ამ გიგანტებზე პირველასვლების ქრონოლოგიას არ დავარღვევთ, ახლა ყველაზე დაბლის, გაშერბრუმ II-ის დრო მოსულა.**



გაშერბრუმის ჯგუფის მწვერვალები

# მბრწყინავი კედელი

... „ბალტოროს ჭეშმარიტ სამეფოში სულ უფრო ღრმად შევდივართ. აქ ცად აზიდულან გამაოგნებელი კოშკები, რომლებიც დედამიწას ალუმართავს. მარცხნივ კათედრალებია, 6000 მეტრზე მაღალი, წითელგრანიტიანი კოშკები. ერთი დღის მერე ჩვენგან მარჯვნივ წარმოგვიდგება მაშერბრუმი (7821 მ.), მარცხნივ კი მუზტაგატის (7273 მ) კოშკი. ბოლოს, პირდაპირ ჩვენს წინ აღიმართებიან ბროუდპიკი (8047 მ.) და ჩვენი გაშერბრუმ IV (7980 მ.), რომლებიც თითქოსდა ბალტოროს ყინულის ველს კეტავენ.

ეს მთები მყინვარებიანად იმდენად პროპორციულები არიან თავიანთი გრანდიოზულობით, რომ მათ რეალურ ზომებზე წარმოდგენის შექმნა ძნელია. მიაბიჯებ, მიაბიჯებ, ისინი კი რატომღაც არ გიახლოვდებიან".

ასეთი იყო პირველი შთაბეჭდილება, რომელიც გაშერბრუმის მწვერვალთა რაიონმა სახელგანთქმულ იტალიელ მთამსვლელსა და მოგზაურ კარლი მაურიზე მოახდინა.

გაშერბრუმის მრავალთავიანი მასივი ყარაყორუმის ქედზე, ბროუდ პიკის მეზობლად, სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარეობს. ყარაყორუმის ქედის მონაკვეთზე ბროუდის უნაგირადან 7772 მეტრის სიმაღლის მწვერვალსა და ჰიდენ პიკის უნაგირებს შორის ოთხი ძირითადი მწვერვალი აღმართულა – 7980, 7952, 8035 და 7772 მეტრი სიმაღლისა. 7980 მეტრის სიმაღლის მწვერვალის ვეება სამხრეთ განშტოებაზე კიდევ ორი შვიდიათასიანი პიკია – 7321 და 7190 მეტრი სიმაღლისა. ყველა მათგანს ერთი და იგივე სახელი აქვს – გაშერბრუმი. მათ ინდექსებით განასხვავებენ.

გაშერბრუმის მასივის ქედი ძალზე დახეხილია და მისი მწვერვალებით ერთმანეთისგან ღრმა ჭრილებითაა დაშორებული.

მასივის სამხრეთი ფერდობები ძალზე ციცაბო და თოვლიანია, ამდენად ზვავსაშიშიც. მისი ფერდობებიდან ჩამოდის გაშერბრუმის სამხრეთი და დასავლეთი ყინვარები, რომლებიც ერთმანეთისაგან უშველებელი სამხრეთის განშტოებითაა დაცილებული. ამას გარდა, ჩრდილოეთით, შევსგამის აუზში, გაშერბრუმის ჩრდილოეთი მყინვარია.

გაშერბრუმის ჯგუფის მწვერვალებისკენ, ისე როგორც მთლიანად ამ რაიონის ...კენ, მთამსვლელები სამხრეთიდან, ბალტოროს ყინვარიდან ადიან. ეს ყინვარის ჯოჯოხეთი მთელ ხეობას ფარავს და ისეთივე სიგრძისაა, რა მანძილიც თბილისიდან გორამდეა.

ამ მწვერვალის სახელი გაშერბრუმის მასივზე აღმართულ 7980 მეტრიან პიკთანაა დაკავშირებული. ბალტელთა ენაზე გაშერბრუმი „მბრწყინავ კედელს" ნიშნავს. მართლაც, როგორც თვითმხილველნი ამბობენ, ამ მწვერვალის დათოვლილი დასავლეთი კედელი მზის სხივებზე ისე კაშკაშებს, თითქოსს ცეცხლს აფრქვევსო.

ბევრი მთამსვლელი და გეოგრაფი ფიქრობს, გაშერბრუმის მასივის მწვერვალები ერთმანეთში რომ არ აგვერიოს, უმჯობესია უარი ვთქვათ მათ ინდექსაციაზე და ისინი ასე მოვიხსენიოთ: 8035 მეტრი სიმაღლისას, რომელსაც გაშერბრუმ II უწოდებენ, დავარქვათ მთავარი გაშერბრუმი. 7772 მეტრიანს – აღმოსავლეთი გაშერბრუმი, 7980 მეტრიანს – დასავლეთ გაშერბრუმი, 7795 მეტრიანს კი შუათანა.

იქვა კიდევ ერთი გაშერბრუმი – გაშერბრუმ I, ისიც რვაათასიანი, ოღონდ მას ამ სახელით თითქმის არ მოიხსენიებენ. ამ გაშერბრუმს ჰიდენ პიკს უწოდებენ, თუ რატომ, ამაზე მაშინ ვისაუბრებთ, როცა იქ ავალთ".

გაშერბრუმის რაიონზე ზოგადად მაშინ გიამბეთ, როცა ყარაყორუმის გიგანტზე – ჩოგორიზე ასვლების ისტორია გაგაცანით. ამიტომ ახლა ამაზე აღარ შევჩერდებით, რადგან ყველა ყარაყორუმის ექსპედიცია, აქაურ რვაათასიანებზე იქნებოდა, შვიდიათასიანებზე, თუ უფრო დაბალ მწვერვალებზე. გაშერბრუმსაც მეტ-ნაკლებად ეხება – ეს ექსპედიციები ხომ მიზნად ძირითადად ამ რაიონის გამოკვლევას ისახავდნენ.

ამ ექსპედიციებიდან ყველაზე მეტად გამოირჩეოდა შვეიცარიელ გიუნტერ ოსკარ დირენფურტის საერთაშორისო ექსპედიცია, რომელმაც შეიძლება ითქვას, მთელი ეს რაიონი 1934 წელს გადათელ-გადმოთელა, თანაც ბალტოროს ზედა ნაწილზე, აბრუცის მყინვარზე.

იმ ექსპედიციის მთავარ მიღწევად ითვლება გაშერბრუმის მყინვარებსა და თავად ამ ჯგუფის მწვერვალთა დაზვერვა, პირველასვლები სია კანგრის ოთხივე მწვერვალზე და ქუინ მერის მთავარ პიკზე (7422მ.) ასვლა, ლაშქრობა ბალტორო კანგრიზე (იგივე გოლდენ კრონზე – 7250 მ) ეს იყო პირველი ასვლები ყარაყორუმის შვიდიათასიანებზე.

იმ ექსპედიციაში იყო მისი მეთაურის ცოლი ჰანელორაც, რომელიც სია კანგრის პიკზე (7315მ) სხვებთან ერთად ავიდა და ეს მიღწევა 1954 წლამდე ქალთა მსოფლიო რეკორდად დარჩა.

მნიშვნელოვანი იყო ფოტონადავლიც.

ეს ყველაფერი უდიდესი, არნახული წარმატება გახლდათ.

ყოველივე ამისთვის დირენფურტი ოლიმპიური ოქროს მედლით დააჯილდოვეს. ამ ექსპედიციის მერე იგი წერდა:

„გაშერბრუმ II უბრალო მწვერვალი არ არის, ძაგრამ ძასზე ასვლა, ეტყობა, შესაძლებელია, ამასთან შედარებით უხიფათოცაა. 1934 წლის ჰიმალაის საერთაშორისო ექსპედიციაში კარგი მოსიმაღლე მებარგულები რომ მყოლოდა, სერიოზულად ვეცდებოდი ასვლას."

აი, დირენფურტის სწორედ ამ ნათქვამმა შეაგულიანა ავსტრიელთა ჰიმალაის საზოგადოება ვენაში, რომელმაც ბალტოროში გასამგზავრებლად მოამზადა ექსპედიცია, რომლის მთავარი მიზანი გაშერბრუმ II ასვლა გახლდათ. ეს მოხდა მხოლოდ 1956 წელს, მანამდე კი გაშერბრუმზე ასვლა არავის უცდია.

ექსპედიციაში, რომელსაც გამოცდილი ფრიც მორავეცი ხელმძღვანელობდა, იყვნენ მთამსვლელები: ზეპ ლარჰი, რიჰარდ რენაგელი, ჰენრიხ როისე, ჰანს ვილენპარტი, ჰანს რაიტი, აგრეთვე ორი მეცნიერი, ექიმი ფიზიოლოგი გეორგ ვაილერი და გეოლოგი ტრაუგოტ გატინგერი.

რაკი გაშერბრუმ II სიმაღლით ყველაზე დაბალი რვაათასიანია, მთამსვლელები ჟანგბადის ბალონების გამოყენებას არ აპირებდნენ. ისინ ვენიდან 25 მარტს გაემგზავრნენ, გაშერბრუმის მყინვარს კი ორ თვეზე მეტი ხნის მერე, 28 მაისს მიაღწიეს.

მერე იყო და მათ რავალპიდში მთელი ცხრა დღე დაკარგეს იდეალური ამინდის მოლოდინში. საქმე ის იყო, რომ მთელი ექსპედიცია თავისი ბარგი-ბარხანიანად სწორედ აქედან უნდა გადაფრენილიყო სკარდოში, იმ ადგილებში ფრენა კი მდინარე ინდის ვიწრო ველზე, რომელიც პრისხანე ნანგა პარბატთან ახლოსაა, მეტად სახიფათოდ ითვლება. ამიტომ ფრენაც მხოლოდ იდეალურ ამინდში ხორციელდება.

ასე იყო თუ ისე, ექსპედიცია სკარდოში 27 აპრილს აფრინდა. სკარდოდან, რომელიც ზღვის დონიდან 2200 მეტრზეა, საბაზო ბანაკისკენ ქვეითი ლაშქრობა დაიწყო.



ასე მოჩანს გაშერბრუმ VI, III და II გაშერბრუმის სამხრეთ მყინვარიდან



მდინარის გადალახვა

მათი 220 კილომეტრი მზიდავებთან ერთად გაიარეს. დღეში 10-2 კილომეტრს ფარავდნენ. მათ გზაში ხვდებოდათ პატარა სოფლები, მთამსვლელებს მწვანე ოაზისებად რომ ეჩვენებოდათ გამომშრალ და მკაცრ ხეობებში.

ავსტრიელების შთაბეჭდილებებისა რა მოგახსენოთ და, როცა იმავე ადგლებში 2 წლის მერე იტალიელთა ექსპედიციამ გაშერბრუმ IV დასალაშქრავად გაიარა, კარლო მაურიმ ეს მოგზაურობა ასე აღწერა:

„ყოველთვის, როცა ასეთ სოფლებში შევდივართ, იქ მცხოვრებთა ცნობისმოყვარე მზერა გვხვდება. იმათთვის ჩვენ წლის ყველაზე შთამბეჭდავი სანახაობა ვართ. ასობით მამაკაცი და ბავშვი ათვალიერებს ჩვენს უცნაურ ბარგს, მხედველობიდან არცერთ ჩვენს მოძრაობას არ კარგავენ: რატომაც არა, მათთვის შორიდან მოსულ ჯადოქრები ვართ. ჩვენ ხომ სანთიას ერთი გაჩხაკუნებით ცეცხლს ვშოულობთ. ჩვენ გვაქვს აპარატები, რომლებც ადამიანის გამოსახულებას აკეთებენ; გვაქვსს აბები, რომლებიც ავადმყოფებს კურნავენ, ყუთები, რომლებიც ლაპარაკობენ. ჩვენ ფულიცა გვაქვს, ფულით სავსე ყუთები; ყოველ საღამოს მათ თვალწინ ვხსნით ყუთებს და ფულს ვურგებთ ყველას, ვინც ჩვენ წინვლაში გვეხმარება. ეგ კია, ქალები არ ჩანან. შეგვნიშნავენ თუ არა, უმალ გარბიან, ან ზურგს გვიჩვენებენ და სახეს მალავენ. მუსულმან ქალებს უფლება არა აქვთ სხვა მამაკაცებს დაენახონ. მათი შეხედვა მხოლოდ შინაურებს შეუძლიათ.

აქ ბევრი ავადმყოფი მამაკაცია – ორგანიზმში იოდის ნაკლებობის, აგრეთვე სიღარიბის გამო. მათ შორის ნამდვილი დებილებიც არიან. ტურტლიანები, ჩაბღლანძულები, ყველანი ჩვენს გარშემო დადიან. სრულებითაც არ ფარავენ თავიანთ სიგლახეს"...

ამ სოფლების გარდა მთამსვლელებმა გაიარეს მდინარეები, კლდეებიცა და უღელტეხილებიც. როცა უკან დარჩა ბალახიც, ყვავილებიცა და სხვა მცენარეულობა, როცა ქარავანმა ფეხი შედგა ბალტოროს ყინვარზე, მებარგულებმა ალაჰს ლოცვა და ვედრება გაუგზავნეს – მათ არ იცოდნენ, ყინვარზე წასულნი ცოცხლები დაბრუნდებოდნენ თუ არა.

მაგრამ ამ მებარგულებმა გააოცეს მთამსვლელები, როცა ყინვარზე კვლავ ფეხშიშველებმა გააგრძელეს გზა და თავს ისევ მხნედ გრძნობდნენ. თუმცა მთამსვლელებს იმ მებარგულთაგან მეტი გაოცება ელოდათ კონკორდის ცირკში 4600 მეტრ სიმაღლეზე რომაა. აქ საჰიბებმა კარვები რომ გაშალეს და ბუმბულის საძილე ტომრებში ჩაიფუთნენ, მათმა ყულებმა (მზიდავები) ყინულზე ბრეზენტი გაშალეს, ჩაწყვრად შიშვლები დაწვნენ და ერთმანეთს მიკრულებმა გაატარეს ღამე. მიუხედავად იმისა, რომ ...... ბევრს ჩასჩიჩინებდნენ, ისინიც ისევე მოქცეულიყვნენ, როგორც მთამსვლელები.

ნეტა რამდენი მზიდავი გაიყინა და მოკვდაო, ფიქრობდნენ ალპინისტები, მაგრამ დილით რომ გაიღვიძეს, თვალებს არ დაუჯერეს – დათოვლილი „გვამები" მზესთან ერთად „გაცოცხლებულიყვნენ" და მხიარული განწყობილებით თავიანთი სამიბების ნიშანს ელოდნენ, რომ მათთან ერთად ქარავანში ჩამდგარიყვნენ.

ეს კონკორდის ცირკი – „მთოვლიეთში ყველაზე დიდი მოედანია". აქედან ყინულისა და კლდეების კოშკებით გარსშემოჯარული მოედნიდან კარგად მოჩანს ყარაყორუმის ბუმბერაზთა შორის ბუმბერაზი, დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალი ჩოგორი.

აქედან კიდევ რამდენიმე დღის სირაულის მერე ქარავანმა 5320 მეტრამდე აღწია და საბაზო ბანაკიც დასცა.

ექსპედიციის წევრებს ახსოვდათ, რომ დირენფურტი თავის დროზე რეკომენდაციას უწევდა აქედან მარჯვენა სამხრეთ-აღმოსავლეთ ქედიდან დაელაშქრათ მწვერვალი, რაკი ეს მარშრუტი ზვავებისაგან სრულიად უხიფათოა, მორავეცის გუნდმა კი გადაწყვიტა უფრო იოლი გზიდან – სამხრეთ-დასავლეთი ქედიდან ასულიყო და მის მისადგომებთან 6000 მეტრის სიმაღლეზე პირველი ბანაკიც დადგა, მაგრამ საბაზოში დაბრუნებულნი უამინდობამ ძირითად ბანაკში მთელი ათი დღე მიაჯაჭვა.

იმ ათი დღის მანძილზე განუწყვეტლივ თოვდა და თოვდა. კარვები თითქმის მთლიანად თოვლში იმარხებოდა. გარეთ რომ გამოსულიყვნენ, თოვლში გვირაბის გათხრა უწევდათ, მერე კი კარვების ამოთხრაც. პაკისტანის რადიოთი მეტეოროლოგიურ ცნობებს რომ ისმენდნენ, დასამშვიდებელს ვერაფერს გებულობდნენ. ამასობაში ავსტრიელებმა შვეიცარიელების მიერ ერთბაშად ორი რვაათასიანის, ჯომოლონგმასა და ლჰოცზეს დალაშქვრის ცნობაც მიიღეს, გაიგეს იაპონელთა პირველასვლის ამბავიც მანასლუზე და ყოველივე ამან მორავეცის ექსპედიციის წევრებს მთლად გაუფუჭა გუნება, რაკილა თავად კარვებში უაზროდ იყვნენ გამომწყვდეულნი.

30 ივნისს როგორც იქნა გამოიდარა და კვლავ პრველ ბანაკში ავიდნენ, ავიდნენ და ახლა იქ შემოეყარათ გულზე, ზვავი ჩამოწოლილიყო და ვეღარც ბანაკი ნახეს და ვეღარც ნაბანაკარი. არადა, ავსტრიელებს ვერაფრით წარმოედგინათ, რომ აქ ზვავი ჩამოვიდოდა – ყინვარი მთლად სწორი, მის სზემოთ ფერდობი კი ტერასებად დასერილი იყო, მაგრამ მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ჰიმალაიზე ზვავი სწორ ადგილებზეც ეშვება. ასე მოხდა 1937 წელს ნანგა პარბატზე, სადაც ზვავმა 16 ალპინისტი ცოცხლად ჩამარხა. ავსტრიელთა ბედად, მათი პრველი ბანაკი რომ ზვავმა ჩაჩუმქრა, იქ არავინ იყო.

ბანაკი ზვავს 5-10 მეტრის სიღრმეზე ჩაემარხა და მთამსვლელებმა თითქმის ვეღარაფერი იპოვეს. ეს პრაქტიკულად ექსპედიციის აყრას და შინ დაბრუნებას ნიშნავდა, მაგრამ მათ გული არ გაიტეხეს, დარჩენილი საჭურველი, ინვენტარი თუ საკვები გადათვალეს და რაკი ბევრი რამ მოისაკლისეს, გადაწყვიტეს მწვერვალზე ელვისებური იერიში მიეტანათ და მომდევნო ბანაკები მხოლოდ ორ ადგილზე დაედგათ.

6 ივლისს მორავეცი, ლარჰი და ვილენპარტი მესამე ბანაკიდან (7150 მ) გავიდნენ. ისინ 7500 მეტრამდე მაქსიმალურად მძიმედ დატვირთულნი ავიდნენ. მათ ახალი თოვლი ერთმანეთის საიმედო დაცვის საშუალებას არ აძლევდათ. ამიტომ უთოკოდ მიდიოდნენ, რათა გადმოვარდნის შემთხვევაში ერთმანეთი არ გადაეყოლათ. საღამოს 7500 მეტრამდე ააღწიეს. კლდის შვერილის ქვემოთ თოვლში გამოქვაბული გამოთხარეს და ღამეც იქ გაატარეს თხელ საძილე ტომრებში.

დილით კვლავ გააგრძელეს გზა და 9 საათზე, 200 მეტრიანი ძალზე ციცაბო მონაკვეთის გავლის მერე დაკბილულ აღმოსავლეთ თხემზე გავიდნენ. აქ უკვე მზე იმდენად აცხუნებდა, რომ მკვრივი თოვლი ფქვილივით გახდა და შიგ წელამდე ეფლობოდნენ. ამიტომ ბოლო 335 მეტრის გავლას მთელი 4 საათნახევარი მოანდომეს და მწვერვალზე 13 საათა და 30 წუთზე მთლად ილაჯგაწყვეტილები ავიდნენ. იმდენად დაღლილები იყვნენ, რომ ასვლისთანავე მწვერვალზე დაემხნენ. სული რომ მოითქვეს, სურათები გადაიღეს და მშვიდობითაც დაეშვნენ.

ამგვარად, ავსტრიელები მესამე რვაათასიანზე პირველამსვლელები აღმოჩნდნენ და ამ მხრივ რეკორდსმენები გახდნენ.

მაგრამ ავსტრიელები ამით არ დაკმაყოფილდნენ – 12 დღის მერე დირენფურტის მიერ 1934 წელს დალაშქრულ სია კანგრიზეც ავიდნენ.

ავთანდილ გურასაშვილი



ხუთი ერის პირველობა

# გაგრძნებული საუნჯე

**ხუთი ერის** მორიგი პირველობის სტარტს საკულისო ინტრიგები უძღოდა წინ. იანვრის 10 დღის მანძილზე იტალიამ ჯერ შინ 29:17 დაამარცხა შოტლანდია, მერე კი სტუმრად 26:31 წააგო უელსთან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, შარშანდელი მსოფლიო თასის წინ და მასზეც ლათინებმა 22:12 რომ აჯობეს ირლანდიას და სულ რაღაც 20:27 წააგეს ინგლისთან, მაშინ ცხადზე უცხადესი უნდა იყოს, რომ იტალიას ნამდვილად ხელეწიფება ექვსი ერის პირველობად განვრცობილ შეჯიბრებაში თამაში, რისი სურვილიც ლათინებს რუმინელებთან ერთად უკანასკნელად 1991 წლის ბოლოს გამოუთქვამთ ოფიციალურად.

იტალიელებს იმედი გადაუწურა ცნობილმა „ბებერმა მუცლის ქარმა“, ხუთი ერის კომიტეტის მდივანმა ბობ ვეიპილმა. მან ამპარტავნულად განაცხადა, რომ ხუთი ერის პირველობა რაგბის საუნჯეა და მისი ტრადიციების ეგზომ იოლად ხელყოფა არ ეგების, მით უფრო, თუ სპორტის სხვა სახეობებს თურმე ერთობ შურთ რაგბისა, რადგანაც „ხუთი ერის“ მსგავსი შეჯიბრი არა ჰქონიათ.

ვეიპილმა იტალიელთა უარით გასტუმრების კონკრეტული მიზეზებიც მოიტანა: ერთი, რომ რაგბი თურმე გარდაქმნის სტადიაში ყოფილა და ხუთი ერის პირველობაც სამაისოდ უნდა გადაიტანონ, იტალიის ჩართვით კი თურმე ბრიტანელ მოთამაშეებს დატვირთვა მიემატებათ, ვინაიდან გაისიდან ევროპის საკლუბო ჩემპიონატშიც უნდა აქტიურად ჩაებან. მეორეც, ბებერი დიდმოხელე თურმე ეჭვობს, რომ იტალია დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნებს თამაშის ახლანდელ დონეს. ამ საშარო მოსაზრების პასუხად ბრიტანეთისავე მედიას ბევრჯერ უთქვამს, ხუთი ერის პირველობაში მონაწილეობა თამაშის დონეზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მავანი გუნდები კარგა ხნის გარიცხულნი იქნებოდნენო. ამათში უთუოდ უელსსა და ირლანდიას გულისხმობენ.

**ასეა თუ ისე,** შაბათს, 20 იანვარს გაიმართა ახალი სეზონის საწყისი ორი მატჩი და თვალნათლივ წარმოჩნდა ევროპული რაგბის მთელი საგანძური. თუ ორი მომაჩანჩალო გუნდის — ირლანდიისა და შოტლანდიის თამაში რაღაცასა ჰგავდა და ძლიერ ქარში სამი ლელოც გავიდა, ჩრდილოეთი ნახევარსფეროს ბობოლების — საფრანგეთისა და ინგლისის შერკინება მდარე, ბერწი და უღელოო ევროპული რაგბის განსახიერება იყო და ახლოსაც ვერ მივა სამხრეთი ნახევარსფეროს იმავე რანგის გუნდების მატჩებთან.

| საფრანგეთი | – | ინგლისი |
|---|---|---|
| 3ს, 2ა (3) 15 | - | 12 (6) (2ს, 2ა) |

ფრანგებს პირველობაზე ბოლოს 1988 წელს მოეგოთ ინგლისელთათვის, მაგრამ მსოფლიო თასისა და ზელანდიასთან ყაიმიანი ტესტ-სერიის შემდეგ აშკარა ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, მით უფრო, რომ ახალ მენეჯერ ჟო მაზოს გუნდში დაებრუნებინა წინამორბედ ანდრე ერეროს მიერ შერისხული სამეული — ლაკრუა, რუმა და კაბანი, მსოფლიოს თასის შემდეგ სამხრეთ აფრიკაში რომ დარჩა, იქაურ ქარრის თასზე ითამაშა და შინ დროით ვერ დაბრუნდა.

ინგლისელები ძალიან შიშობდნენ. შემოდგომაზე შინ სამხრეთ აფრიკასთან უსიტყვო წაგებამ და სამოასთან უღიმღამო მოგებამ მწვრთნელ ჯექ რაუელის ათქმევინა, თუ ძირეულ შეცდომებს ვერ ამოვძირკვავთ ჩვენს თამაშში და ფრანგებსაც თუ თავიდანვე არ ამოვდებთ ლაგამს, მათი სამეოთხედელები დაგვლუპავენო.

ბრგე, ორმეტრიანმა რაუელმა ვერ გამოიცნო: ფრანგების უკანა ხაზმა არაფრად ივარგა და შეტევაშიც ვერაფერი მოიმოქმედა. სამაგიეროდ, ფრანგმა მორკინალებმა ბოლო ათწლეულში პირველად სულ მთლად დაიბრიყვეს ინგლისი, სტატიკაშიც აჯობეს და ღია თამაშშიც, რაც ევროპული რაგბის მეხოტბეებისათვის საგანგაშო უნდა იყვეს — თუ ეშხიანი ფრანგები ჯანიანი ინგლისელებივით ჩაჯდნენ, მთლად წამხდარა ხუთი ერის საქმე.

უბურთოდ დარჩენილი ინგლისი მთელი თამაში თავს იცავდა და საკმაოდ უნარიანადაც. მატჩის ერთადერთი რეალური სალელოე მომენტიც სტუმრებს მიეცათ. მე-16 წუთზე ქარლინგმა გაჭრა ხაზი, პასი შიგნით მისცა ანდერვუდს, ამან კი ისე უხეიროდ მიაწოდა ბურთი ქეთს, რომ ინგლისელთა მცველს ზედ ლელოსთან წინ გაუვარდა.

თამაში მორკინალთა ომში გაილია. ქეთს ბევრი აბრაგანის მოგერიება მოუხდა. ლაკრუამ გრეისონზე უარესად ურტყა, რის გამოც 75-ე წუთზე ანგარიში ჯერაც საყაიმო 9:9 იყო. 28-ე წუთზე ინგლისელმა შეაგდო პირველი საჯარიმო. იგი მალევე გააბათილა ფრანგმა, მაგრამ წამატებულ დროში ჯეელმა ბრიტანელმა თითქმის შუა ხაზიდან ბურთს მაგრად ამოჰკრა 3:6.

ლაკრუამ ანგარიში არეკნით გაათანაბრა 55-ე წუთზე, მე-60 წუთზე კი 40 მეტრიდან შეაგდო საჯარიმო 9:6. ხუთი წუთის შემდეგ ირლანდიელი მსაჯი მაკჰიუ შეცდა და ინგლისის აბრაგანის შემდეგ შერკინებაში ბრიტანელებს შეაგორებინა ბურთი. გრეისონმა არეკნით გაათანაბრა ანგარიში 9:9.

ბოლო ხუთ წუთში ლაკრუამ, ვისაც იმ დროისთვის ოთხი საჯარიმო და ორი არეკნი გასცუდებოდა, ერთობ შორიდან ძალიან ძლიერად დაარტყა 12:9, მაგრამ ქარლინგის გარღვევის შემდეგ გრეისონმა ისევ დაჰკრა არეკნი 12:12, რასაც წამატებულ დროში უკვე კასტენიედის არეკნი მოჰყვა 15:12. ინგლისმა კიდევ გაიფაფხურა, მაგრამ კარში დარტყმა ველარ მოახერხა.

საფრანგეთი: სადურნი (ბერნასალი); ნტამაკი, დუტი *, კასტენიედი *, სანტანდრე (კაპიტანი); ლაკრუა, კარბონო *; პერი *, გონზალესი, კალიფანო; მერლი, რუმა; ბენაზი, კაბანი, პელუ *

ინგლისი: ქეთი; სლაითპოუმი *, ქარლინგი (კაპიტანი), გასქოთი, რ. ანდერვუდი; გრეისონი *, დოუსონი *; რაუნთრი, რიგანი *, ლენარდი; ჯონსონი, ბეიფილდი; ოჯომო, დალალიო *, ქლარქი (რიჩარდსი, დროებით)

48 000 მაყურებელი (მსოფლიო თასის შემდეგ დანინაურებულ მოთამაშეებს * უზით)

| ირლანდია | – | შოტლანდია |
|---|---|---|
| ლ, გ, ს (10) 10 | - | 16 (16) 2ლ, ს, ა |

ბოლო ათწლეულში შოტლანდიას რვაჯერ დაემარცხებინა მეტოქე. წვიმდა. შესვენებამდე სტუმრებს ზურგქარი ეხმარებოდათ და ერთი პირობა 16:3 კი იგებდნენ. ლელოები გაიტანეს ახალბედა კვაჭმა მაკქენზიმ და მცველმა მაიქლ დოდზმა, საჯარიმო — დოდზმა, არეკნი კი 10 ნომერმა თაუნზენდმა. მასპინძელთაგან ლელო გაიტანა ბურჯმა კლოჰესიმ, გოლები კი 10 ნომერმა ელვუდმა. მეორე ნახევარში ირლანდია ბევრს ეცადა, მაგრამ სტუმრებმა ბოლო ხუთ წუთში თამაში მაინც მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს. სტადიონზე 63 ათასი მაყურებელი შეიკრიბა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 16:10 | 2-1 | 2 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 15:12 | 0-0 | 2 |
| ინგლისი | 1 | 0 | 0 | 1 | 12:15 | 0-0 | 0 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 10:16 | 1-2 | 0 |
| უელსი | 0 | 0 | 0 | 0 | 0: 0 | 0-0 | 0 |

II ტური. 3 თებერვალს: ინგლისი — უელსი, შოტლანდია — საფრანგეთი

ზაზა ფხაკაძე



ინგლისის შერკინებამ ერთობ მოისაკლისა მთავარი განმკარგულებელი, კვაჭი-ბრაიან მური, ვისზეც მწვრთნელს რიტორიკულად უკითხავს, ნეტავ ვინ მოისხამს მის მანტიასო

**ხვალ,** ოთხშაბათს, 25 იანვარს, დღის 2 საათზე რაგბის კავშირის ოფისში მოეწყობა ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონატის წილისყრა და თამაშთა განრიგის შედგენა. შეჯიბრებაში ორ ლიგად დაყოფილი 14 გუნდი ჩაებმება. სტარტი დანიშნულია 16 აპრილისათვის.

## აქეთური, იქეთური

ბრიტანულ ლიგის რაგბში 21 იანვარს ეპოქა დასრულდა — უკანასკნელად გაიმართა ზამთრის თამაშები, ახალი საზაფხულო სუპერ-ლიგის შეჯიბრი კი მარტის ბოლოს დაიწყება. ბოლო ორ ტურში „ვიგანმა“ 32:16 და 34:20 მოუგო „ბრედფორდსა“ და „ლიდსს“ და ზედიზედ მეშვიდეჯერ გახდა ჩემპიონი.

*

ბარსელონაში გაჩაღდა ბალახის ჰოკეის ვაჟთა ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი შეჯიბრება. 10 დღის განმავლობაში რვა გუნდი: ჰოლანდია, ბრიტანეთი, ესპანეთი, ბელგია, ბელარუსი, ინდოეთი, მალაიზია და კანადა ერთურთს შეეცილება ატლანტის ხუთ საგზურს. ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მხოლოდ ესპანეთი მიდიოდა, ვინაც ბელარუსს 3:1 მოუგო, ბელგიას კი — 4:0. პარასკევს ინდოეთი — ბრიტანეთის მატჩი ფრედ 3:3 დამთავრდა, კვირას კი ინდოელებმა, ვითაც ბოლო 15 წელია საერთაშორისო სარბიელზე ვერაფრისთვის მიუღწევიათ, 4:1 დაანგრიეს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ჰოლანდია.

*

ყვითელი პრესა ამჯერადაც მართალი გამოდგა: მართლაც ჩაიშალა ჯ. ფორმენ — მორერის შერკინება, 29 თებერვალს ნიუ-იორკის „მედისონ სქვეარ გარდენში“ რომ უნდა გამართულიყო. მიზეზი ისაა, რომ ბებერი ჯორჯი ტაისონთან შესაძლო შერკინებას აუმჩატებია, რაც არ მოეწონათ 29 თებერვალს შოუს ორგანიზატორებს.

*

ყინულის ჰოკეის ეროვნულ ლიგაში (ნჰლ) გამოუცდიათ ციალა შაიბა, რომელიც შარავანდედის წყალობით ტელეეკრანზე უკეთა ჩანს და როგორც ირწმუნებიან, რევოლუციური სიახლეა.

*

ამერიკელ კეტბურთელთა შარშანწინდელმა გაფიცვამ ხალხს თამაშზე გული რომ აუცრუა, რის გამოც შარშან თამაშებზე დასწრებამ 20 პროცენტით იკლო, ლიგის ხელმძღვანელობას თამამი გადაწყვეტილება მიალებინა: 1997 წლიდან რეგულარულ სეზონშივე გაიმართება ლიგათაშორისი შეხვედრები. აქამდე ასე ყოფილა, რომ ამერიკისა და ეროვნული ლიგები ცალ-ცალკე მართავდნენ შეჯიბრებს, მათი ჩემპიონები კი ბოლოს ერთმანეთს „მსოფლიო სერიალში“ ხვდებოდნენ, რასაც ტრადიციონალისტთა აზრით თავისი ხიბლი ჰქონდა, რაკილა უმთავრესი შოუს მონაწილენი ერთურთს ფაქტობრივად არ იცნობდნენ.

*

მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგო ბულზი“ კვლავ უმიზნებს კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბა) ზედიზედ მოგებული მატჩების რეკორდს. კვირას „ხარებმა“ 111:96 აჯობეს დეტროიტის გუნდს. ჯორდანის მონაგარი 36 ქულა იყო.

*

კომუნისტური ჩრდილოეთი კორეის განდგომილი რეჟიმი ბოლო ხანს ბურჟუაზიული ჩოგბურთით დაინტერესებულა და ალჭურვილობის იმპორტისათვის რეგიონის ბობოლა ქვეყნების ფირმებისთვის მიუმართავს.



# „სკადმა“ შეიწირა უდაო ფავორიტი

**ბერძენთა** სიმრავლით მელბურნი მსოფლიოს მესამე ქალაქია — ათენისა და თესალონიკის შემდეგ. ჰოდა, შაბათს იქაურ ბერძნობას დიდი დღესასწაული ჰქონდა — „ფლინდერს პარკში“, ავსტრალიის ღია პირველობის მესამე წრეში ერთმანეთს ხვდებოდნენ ქალაქის თვალი, 19 წლის, 194-სანტიმეტრიანი მარკ ფილიპუსისი და ამერიკელი, ოღონდაც ტომით ასევე ბერძენი, დუნიის პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი.

ბერძნებმა დიდი ხეირი გამართეს. რაკეტის ხათრით „სკადად“ გათიკუნებულმა ფილიპუსისმა, ვისაც ცოცხალი ლეგენდა — ნიკ ბოლეტიერი ავარჯიშებს, სამპრასს ეისებში შეჯიბრი 29-5 მოუგო. პირველ ხელში სწორედ რომ მელბურნელმა გაახერხა ერთადერთი ბრეიქი და ხელი 6:4 მოიგო. მეორე ხელის თაი-ბრეიქში მასპინძელი ორ სეთ-პოინტს დაუძვრა და 11:9 გაიმარჯვა, მესამე ხელი კი ასევე თაი-ბრეიქამდე მივიდა, რომელიც მელბურნელთა ჯილამ 7:3 მოიგო. შარშან „სკადი“ სამი ტურნირის ფინალში გავიდა, ხოლო აშშ-ის ღია პირველობაზე იმავე სამპრასმა ოთხ ხელში ძლივს მოუგო.

სამპრასის გავარდნა დიდად ესიამებოდა ანდრე აგასის (2), ვინაც წინა დღით სტივ ბრაიანი გააგდო, კვირას კი თუმც 1-2 აგებდა წინა წრეში ტოდ მარტინის (15) მძლეველ შვედ იონას ბიორკმანთან, მაინც გაიმარჯვა და ახლა შეერკინება ძველ მეტოქე ჯიმ კურიეს (8), ვინაც იგივე განსაცდელი გამოიარა, ვიდრე სამხრეთაფრიკელ მარკუს ონდრუშკას მოერეოდა.

სამპრასის მარცხით შეეძლო ეხეირა ავსტრიელ თომას მუსტერს (3) და კარიერაში პირველად გამხდარიყო პირველი ჩოგანი, მაგრამ კვირას 5:7, 6:4, 3:6, 2:6 წააგო 23 წლის შვედ მიქაელ ტილსტრომთან, ვინაც მელბურნში პირველად ასპარეზობს. სამაგიეროდ, მოიგეს ჩანგმა (5) — ფლურიანთან (საფრანგეთი) 3-0 და რუსმა კაფელნიკოვმა (6) — ვოშინგტონთან 6:3, 6:2, 6:4.

ბორის ბეკერს (4) მორიგი ფათერაკი გადახდა. ხუთშაბათს ხუთ ხელში რომ მოუგო შვედ თომას იუჰანსონს, ამისმა ქომაგებმა შვედურად აგინეს, აქაოდა ბეკერს ჩვენი ენა გაეგებაო. ამავე დღეს იყო, რომ აწ უკვე გავარდნილებმა — სამპრასმა და ვოშინგტონმა ოთხ-ოთხ ხელში დაამარცხეს მარკ ჯოისი (აშშ) და არნო ბეჩი (საფრანგეთი, 12), ხოლო ივანიშევიჩმა (10) 20 ეისი ჩაუგდო სებასტიენ ლერუს (კანადა) 6:4, 6:4, 6:4. ბეკერმა შაბათსაც მოიგო — მაგნუს ლარსონთან (შვედეთი) 7:6 (7:5), 6:3, 6:3, მაგრამ ამ დღეს მელბურნის ცა ჭექა-ქუხილმა გააპო, თუმც გადახურულ ცენტრალურ კორტს ვერაფერი დააკლო. მერე იქვე გაიმართა ბერძნული შოუ, 15 ათასმა კაცმა რომ იხილა.

**განთესილები** ქალთა შეჯიბრსაც შემოაკლდნენ. ხუთშაბათს შარშანდელი ჩემპიონი, „ფრანგი“ მარი პირსი (4) 6:4, 6:4 დაამარცხა ნორჩმა რუსმა ელენა ლიხოვცევამ (და არა ალექსეევამ, როგორც წინა „სარბიელში“ შეცდომით დავწერეთ), რომელიც ამ ორი წლის წინ „ყაზახად“ იწერებოდა. გუშინ ლიხოვცევამ წააგო ამანდა კეტცერთან (სამხრეთი აფრიკა, 16). ხუთშაბათსვე შეემთხვა მარცხი იაპონელ კიმიკო დატეს (5), ვისაც თანამემამულე მანა ენდომ 6:2, 1:6, 6:0 მოუგო.

პარასკევს მონიკა სელეშმა (1) 7:5, 6:0 დალახვრა ჟული ალარი (საფრანგეთი), ვინაც სამი წლის წინ მელბურნშივე ერთობ გაუძალიანდა. კვირას გაბრიელა საბატინის (არგენტინა, 6) 6:2, 6:4 აჯობა ჩანდა რუბინმა (აშშ, 13), კონჩიტა მარტინესმა (ესპანეთი, 2) კი გუშინ 6:3, 6:1 დაამარცხა ლინდზი დავენპორტი (აშშ, 10).



## ნასტასე ქალაქელებს შუქს, წყალსა და ნაგვის გატანას ჰპირდება

ალექსანდრე მეტრეველს ბევრჯერ უთქვამს, რუმინელ ილიე ნასტასეზე ნიჭიერი მეტოქე არასოდეს შემხვედრიაო. 49 წლის ყოფილ ექსცენტრიკოსს და მსოფლიო კლასიფიკაციის პირველ „პირველ ნომერს“ ახლა დიდი ქონება მოუგროვებია, გავლენა მოუპოვებია, პოლიტიკური ამბიციაც გასჩენია — სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შესულა და თურმე ბუქარესტის მერობაც სურს.

თბილისისა არ იყოს, ორმილიონნახევრიანი ბუქარესტიც სოციალისტური განაშენიანების „შედევრია“. ბევრ უბანს არც იქ ჰქონია შუქი და წყალი, ქუჩები კი იქაც ნაგვითაა სავსე. ამის შემდეგ რა გასაკვირი იქნება, თუ „დედაქალაქის მშრომელები“ მხსნელად შერაცხენ „დიდი სლემის“ ორი ტურნირის ლაურეატ თანამემამულეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29